2014 წელი, 15-21 მაისი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№18 (652) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

გვერდი 7

ჩემი სამცხე-ჯავახეთი, ანუ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს"

თვალსაზრისი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა თუ ბარიერი

გვერდი 2

სასკოლო აქტივობა



მოგზაურობა წიგნის სამყაროში

გვერდი 3

ქართული როგორც მეორე ენა

სამხრეთული ყოფა

დასასრული

გვერდი 6

რეპორტაჟი ლახამულადან

მითიური წარსული, ღირსეული აწმყო

გვერდი 8

თვალსაზრისი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა თუ ბარიერი

პროგლემა გახლავთ თვითონ კრედიტების დაგროვების ურთულესი სისტემა, იმდენად ურთულესი, რომ ის მხოლოდ უტოპიად შეგვიძლია განვიხილოთ.

ფინანსურად ზურგგაუმაგრებელი სქემა პედაგოგთა მოტივაციას კი არა, დემოტივაციას გამოიწვევს.

პროფესიული სტანდარტით უწყვეტი პროფესიული განვითარების „ლეგიტიმაციისთვის“ მასწავლებლებს შესაბამის სქემაში ჩართვა მოგვეთხოვება. თუ პედაგოგი ამ მოთხოვნას არ გაითვალისწინებს, ანუ თუ პროფესიონალიზმს სქემატურად არ დაადასტურებს, მისი გენიოსობაც კი ამაო იქნება. მასწალებელთა პროფესიული განვითარებისთვის „ზრუნვა“ ერთ-ერთია იმ მრავალ მემკვიდრეობიდან, რომელიც შინაარსობრივადაც და მიზნობრივადაც შაშკინიზმის ეპოქიდან, თითქმის, უცვლელად შემორჩა. მაშინაც და ახლაც სქემის ამოქმედებას უნდა „დაემტკიცებინა“ მასწავლებელთა არაპროფესიონალიზმი და, აქედან გამომდინარე, მათი დაბალი სახელფასო ანაზღაურების მართებულობა.

სქემის „აპოლეგეტები“ აცხადებენ, რომ სახელფასო ზრდა შესაძლებელია ერთადერთი, მხოლოდ სქემაში ჩართვის გზით (უწყვეტი პროფესიული განვითარება), რასაც თურმე მოჰყვება ზედა საფეხურებზე (კატეგორიებზე) გადასვლა. სინამდვილეში ანაზღაურების ზრდის ოფიციალური სისტემა არ არსებობს, მას მხოლოდ გაკვრით ეხებიან, თუ რა პრინციპით და რა ოდენობით მოხდება ეს, უცნობია. არადა, ყველამ კარგად იცის, რომ ამ ეტაპზე მაინც ხელფასის ზრდისათვის კი არაა აუცილებელი სქემაში ჩართვა, პირიქით: სქემაში ჩასართავადაა საჭირო დრო, ენერგია და, ყველაზე მეტად, ადეკვატური საბაზო ხელფასი. სწორედ ხელფასმა უნდა უზრუნველყოს პედაგოგის გათავისუფლება დამატებითი სამუშაოსგან (რეპეტიტორობა ან სხვა სამსახური). ფინანსურად ზურგგაუმაგრებელი სქემა პედაგოგთა მოტივაციას კი არა, დემოტივაციას გამოიწვევს.

იმ დროს, როდესაც დაშვებულია, რომ მაღალი ანაზღაურება და კომფორტული სამუშაო პირობები სახელისუფლებო სტრუქტურებში დასაქმებულთა შრომითი შედეგების პირდაპირპროპორციულია და ამით გამართლებულია მათი „სახელფასო-საპრემიო მადა“, რომელიც „ჭამაში“ კიდევ უფრო იზრდება (ასეა შევარდნაძის ეპოქიდან დღემდე), რატომ არ მოქმედებს იგივე პრინციპი პედაგოგთა მიმართ?

ვითომცდა, დემოკრატიულობისა და პლურალიზმის საილუსტრაციოდ, ამ დრომდე, მიმდინარეობდა სქემის „საჯარო განხილვები“. მაგრამ ვინმემ გამოთქვა რაიმე ყურადსაღები მოსაზრება? ვინმემ ისაუბრა პედაგოგთა საფრთხეებზე და განათლების სამომავლო უპერსპექტივობაზე? სად არიან პედაგოგთა უფლებების ე.წ. დამცველი პროფესიული კავშირები?

„საჯარო განხილვა“ Online რეჟიმშიცაა, მაგრამ არაა დასმული შეკითხვა, რამდენი უნდა ჰქონდეს დაწყებითი (პრაქტიკოსი) საფეხურის მასწავლებელს ანაზღაურება და როგორი უნდა იყოს ზრდა შემდეგ საფეხურებზე. გამოკითხვას მხოლოდ გარეგნული მხარე აინტერესებს.

ცხადი ხდება, რომ სქემა, ამ ეტაპზე და ამ მოცემულობაში, მხოლოდ ერთი მიზნით იწყებს ამოქმედებას: არაპროფესიონალიზმისა და დაბალი კომპეტენციის კიჟინით, პედაგოგს წაერთვას „მორალური“ უფლება – მოითხოვოს ხელფასის ზრდა. ისინი უნდა „დაშოშმინდნენ“, უკეთესი მომავლის იმედით. ეს მომავალი კი ან საერთოდ არ იქნება, ან მანამ არ დადგება, სანამ არ შემცირდება პედაგოგთა არსებული რაოდენობა.

„საფეხურებრივი სისტემის“ შემოღებას სწორედ ეს მიზანი ჰქონდა შაშკინის დროს და ასეა ახლაც.

პედაგოგთა მდგომარეობა პოსტსაბჭოურ სივრცეში მეტ-ნაკლებად ერთნაირია, მაგრამ ყველაზე არასახარბიელოდ მაინც საქართველოში რჩება. არასახარბიელო მდგომარეობაში მოვიაზრებთ დაბალ მოტივაციას და ამით გამოწვეულ დაბალ კომპეტენციებს, პროფესიის არაპრესტიჟულობას, მასწავლებლის სოციალურ დაუცველობას, დაბალი ხარისხის პროფესიული განვითარების პროგრამებს და ა.შ. ამ მხრივ, სწორედაც რომ ყურადსაღები იყო, პროფესორ გია დვალის მონაწილეობით, მოქმედი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის ერთი წლის წინანდელი დასკვნა. თუმცა, მასში გამოვლენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად არც არაფერი შეცვლილა და, ვფიქრობ, შემდეგშიც ასე იქნება.

ხელისუფლებისაგან ვიზირებული ამგვარი სტაგნაცია თუ უკუსვლა ხდება იმ დროს, როდესაც საქართველო ევროკავშირთან ინტეგრაციის გაღრმავებას გეგმავს, იმ ევროკავშირთან, რომლის წევრი ქვეყნების პედაგოგის საშუალო წლიური ხელფასი 57 ათასიდან 101 ათას ევრომდეა; სადაც პედაგოგის კარიერული ზრდის უამრავი მოდელი არსებობს, რომლებიც მორგებულია რეგიონულ სპეციფიკაზე. მაგალითად, გერმანიის ყველა რეგიონში საკუთარი „სქემა“ გამოიყენება. უფრო საინტერესოა შვეიცარია, რომელიც ფართობით ბევრად ჩამოუვარდება, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით მცირედ აღემატება საქართველოს. კლიმატური, ისტორიული, რელიგიური, ტრადიციული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამ ქვეყანაში, 150-მდე სხვადასხვა საგანმანათლებლო მოდელი მოქმედებს. მოდელთა მრავალფეროვნებას განათლების სისტემის მენეჯმენტის ავტონომიზაცია განაპირობებს. პედაგოგის მოტივაცია კი, ცარიელი „კარიერული წინსვლის“ ნაცვლად, მზარდი ანაზღაურებითაა განპირობებული.

გამოკითხვის შედეგად, ჯერ კიდევ 2008 წელს, ჩვენი ქვეყნის პედაგოგთა 67%-ისთვის სკოლაში დარჩენის მოტივაცია 700-ლარიანი ხელფასი იყო, დღეს არამოტივირებულ პედაგოგთა რაოდენობაც და სამოტივაციო ნიშნულიც უდავოდ გაზრდილია, რადგან ძველი მიზეზები უფრო გაძლიერდა (6 წლის მერეც კი ვერ მიაღწია საბაზო ხელფასმა 700 ლარამდე) და მათ ახალიც დაემატა – ეს გახლავთ ხსენებული სქემა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ისმის კითხვები: გაურკვეველია, რატომ უნდა ჩაერთოს ამ სქემაში მასწავლებელი, რას ნიშნავს ცარიელი და ზეპირი განცხადებები, რომ კარიერაზე ხელფასის ზრდა იქნება დამოკიდებული. რა სისტემით, რა ოდენობით, რამდენჯერ გაიზრდება ხელფასი? რამდენად დიდია ამ ზეპირი დანაპირების სანდოობა იმ დროს, როდესაც არც წინა და არც მოქმედი ხელისუფლების მიერ ოფიციალურად დეკლარირებული დანაპირებიც კი არ შესრულებულა? ან ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ პედაგოგთათვის კატეგორიების „დარიგება-ჩამორთმევა“, ტრადიციისამებრ, ისევ ხელისუფლებათა ცვლაზე და უფრო მეტიც – მთავრობის წევრთა გადახალისებებზე აღარ იქნება დამოკიდებული?

ახლა მინდა მკითხველისა და კოლეგების ყურადღება თავად სქემა-სტანდარტით „ასაშენებელ“ სისტემაზე გადავიტანოთ: სქემაში ჩართული პედაგოგის მიერ კრედიტების „მართლდაგროვების“ პროცესი მონიტორინგს დაექვემდებარება. არანაირი გარანტია მონიტორინგის ობიექტურობისა და არც „სქემისტი“ პედაგოგის მუშაობის რეალურად შეფასებისა არ არსებობს. საეჭვოა მონიტორინგის მობილური ჯგუფისა და, სხვათა შორის, სქემით გათვალისწინებული ერთ-ერთი აქტივობის – ტრენერთა ხელმძღვანელების (ტრენერები) პროფესიონალიზმი. გაურკვეველია გადამზადების ცენტრთა კვალიფიკაციის დონეც. თუკი ვამბობთ, რომ საქართველოში განათლების სისტემა რეგრესირებულია, თუკი საუნივერსიტეტო განათლებაც იგნორირებულია, მაშინ გადამმზადებლები, ტრენერები, მონიტორინგის ჯგუფები და სხვანი საიდან მოვლენ? მაშინ ვინ არის ის, ვინც კვანძის მთავარ ძაფსაა ჩაჭიდებული? მას საიდანღა აქვს ცოდნა, თუკი არავის არ აქვს იგი?

სქემის მოთხოვნები, თავისი ვადებით, მასშტაბურობითა და სიძნელით, იმთავითვე წინააღმდეგობაში მოდის სქემითვე გათვალისწინებულ მიზანთან, რომელიც გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას.

ერთი შეხედვით, ცუდი არაფერია მასწავლებელთა „ფენებად“ დაყოფაში. მხედველობაში მაქვს სქემის პროექტი, რომლის მიხედვითაც, პრაქტიკოს მასწავლებელს მოეთხოვება 14 კრედიტი და საგნობრივი გამოცდის ჩაბარება, წარჩინებულ მასწავლებელს – 24 კრედიტი, მკვლევარ მასწავლებელს – 32, ხოლო მენტორ მასწავლებელს – 40. პრობლემა გახლავთ თვითონ კრედიტების დაგროვების ურთულესი სისტემა, იმდენად ურთულესი, რომ ის მხოლოდ უტოპიად შეგვიძლია განვიხილოთ. უბრალო არითმეტიკული დათვლით კარგად ჩანს, თუ როგორ გაიზრდება ამ მოდელში ჩართული პედაგოგის სამუშაო საათების რაოდენობა და რა მიუღწეველი იქნება ამ მოცულობის სამუშაოსთვის თავის გართმევა. მე არ შევუდგები მასწავლებლის დროის ხელახალ დაანგარიშებას, ამის შესახებ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა გიორგი ნოზაძემ (ინტ. გაზეთი mastsavlebeli.ge, 22 აპრილი, 2014), მოკლედ განვიხილავ მას სხვა კუთხიდან:

სქემა არ ითვალისწინებს არა მარტო იმას, ეყოფა თუ არა ინტელექტუალური და ფიზიკური ძალა და დრო თავად პედაგოგს, არამედ არც პედაგოგის პროფესიული საქმიანობის ადგილის – სკოლის ფაქტორსაც. როგორც წესი, მასწავლებელთა მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობა ჩაერთვება „მაღალი დონის“ აქტივობებში (სახელმძღვანელოს ავტორობა, ელექტრონული და სხვა სახის რესურსების შექმნა და ა.შ.), მათი უდიდესი უმრავლესობა კი უშუალოდ სკოლაში და უშუალოდ სასწავლო პროცესის დროს განსახორციელებელი აქტივობების გამოყენებას თუ მოახერხებს. ასეთი აქტივობების 1 საათი კი შეესაბამება მხოლოდ 0,03-0.05 კრედიტს.

რამდენად გასწვდება სკოლის ტექნიკური, ადამიანური და უფრო მეტად კი დროის რესურსი კრედიტების დაგროვების პროცესს?

შაშკინის დროინდელი სქემა ახალ საფეხურზე გადასასვლელად 7-8-წლიან ვადას იძლეოდა, ახალი პროექტით ის 5 წლამდე შემცირდა და ამით თითქოს საშუალო ასაკის პედაგოგებს მისცეს კარიერული წინსვლის საშუალება. მაგრამ აქტივობის „კრედიტთღირებულება“ არ შეცვლილა. ამიტომ რას ვიღებთ: ისედაც დიდი მოცულობის სამუშაო პედაგოგმა ახლა ბევრად ნაკლებ დროში უნდა მოასწროს. მაგრამ მოასწრებს? შემოთავაზებული მოდელით თუ ვიმსჯელებთ, ხუთი წლის განმავლობაში, ერთ პედაგოგს სკოლამ უნდა გამოუყოს კვირაში 2-5 საათი მაინც კრედიტების დასაგროვებელი აქტივობისთვის, ანუ პრაქტიკოსს – 2, წარჩინებულს – 3, მკვლევარს – 4, ხოლო მენტორ მასწავლებელს – 5 საათი. ცხადია, ეს არაა მხოლოდ ცარიელი ციფრები. აქტივობამდე და მერეც საჭიროა ამ ყველაფრის დეტალური დაგეგმვა-აღწერა, ელექტრონულ ბაზაში ფიქსირება და ა.შ. თუ მოხდება „ზეციური სასწაული“ და მასწავლებლები ამას მაინც შეძლებენ, თავად სკოლა როგორ გასწვდება ამდენ აქტივობას? სკოლამ, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, ყოველდღე თითო საგაკვეთილო საათიც რომ დაუთმოს პედაგოგს (რაც, ბუნებრივია, ყოვლად შეუძლებელია), სქემით გათვალისწინებულ ყველაზე დიდ ვადაში – 5 წელიწადში, მაქსიმუმ, 17-20 პედაგოგს თუ „დაკმაყოფილებს“. აი, ასეთი შედეგი გვექნება ყველაზე იდეალურ შემთხვევაშიც კი.

ამ კოლოსალური კრედიტდაგროვებითი სამუშაოს გარდა, მოცემულ დროში, პედაგოგს მოეთხოვება სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობის გამოყენება. განა მოიძებნება საქართველოში დასაქმებული და, მით უმეტეს, სერტიფიცირებული პედაგოგებიდან თუნდაც 10 პროცენტი, რომელიც თავს გაართმევს აქტივობათა სავალდებულო მინიმუმს? (განსაკუთრებით რთული იქნება ამგვარი ვალდებულების დაკისრება რეგიონებისა და კიდევ უფრო რთული სოფლების მასწავლებლებისთვის, სადაც პედაგოგიურის გარდა, სასოფლო-სამეურეო სამუშაოც მრავლად აქვთ). განა რამდენი პედაგოგი შეძლებს საქართველოში და, მით უმეტეს, სოფლებში სახელმძღვანელოს ავტორობა-თანაავტორობას, პრეზენტაციების ორგანიზებას, ტრენინგ-პროგრამებში ჩართვასა და ტრენერად მუშაობას, ინტერნეტ და სასწავლო ელექტრონული რესურსების შექმნას, კვლევების, საგანმანათლებლო პროექტების ავტორობას, სტატიების წერას და ასე შემდეგ? და თუ ამდენს ვინმე გააკეთებს, ის სკოლაში რატომღა იმუშავებს, თან იმ დროს, როდესაც შრომითი ანაზღაურება ასე ხელშესახებად არაადეკვატურია და არც პერსპექტივაშია უკეთესობა?

და მაინც, თუ დავუშვებთ, რომ კარიერული წინსვლის ეს უტოპიური მოდელი ამ ფორმით მაინც ამოქმედდება და მასში ჩართულთ ჯადოქრული თვისებები აღმოაჩნდებათ, ან თუ მას კიდევ შეცვლიან და კრედიტდაგროვებითი სისტემა გაიოლდება, თუ პედაგოგის საწყისი (საბაზო) სახელფასო ანაზღაურებაც ევროსტანდარტებს დაუახლოვდება და რეალურად მზარდი გახდება, ამ შემთხვევაშიც კი აღმოვჩნდებით სხვა, უფრო ღრმა და მთავარი პრობლემატური კითხვის წინაშე: შეუწყობს ხელს სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებასა და მოსწავლეთათვის კონკურენტუნარიანი საბაზო ცოდნის პაკეტის შეთავაზებას ასეთი სისტემის შექმნა? სინამდვილეში რას მივიღებთ – კრედიტების დაგროვებასა და კატეგორიებზე ორიენტირებული მასწავლებელი სქემით შემოთავაზებულ აქტივობებს გამოიყენებს არა მოსწავლისთვის, არამედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მონიტორინგის მობილური ჯგუფისთვის (ან ზოგადად მონიტორინგისთვის). შესაბამისად, კარგად აკინძული და შეკოწიწებული პორტფოლიო (რეალური თუ ელექტრონული საქაღალდეების გროვა) იქნება ის საფუძველი, რითაც მასწავლებლებს კრედიტები მიენიჭებათ(!). ამგვარი სიტუაცია, საწყის ეტაპზევე უგულებელყოფს თანამედროვე საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარ, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპს.

ამ ერთ სტატიაში შესაძლებელი იყო სქემის მხოლოდ ზოგადი მიმოხილვა და ამითაც კი ნათლად გამოიკვეთა როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი შედეგები, უფრო სწორად, საფრთხეები, რომელიც ემუქრება პედაგოგს, სკოლას, მოსწავლესა და საბოლოოდ, ჩვენი ქვეყნის განათლების მომავალს. პედაგოგთა პროფესიული განვითარების შემოთავაზებული სქემის ახალი პროექტი, ფაქტობრივად, პირვანდელი – შაშკინიზმის იდეის ხორცშესხმის მცდელობას წარმოადგენს. ეს არის იერიშის ახალი ეტაპი სკოლებზე. დამცირების, შეურაცხყოფის, თავისუფლების შეზღუდვის, მექანიკურ ჩარჩოებში გამოკეტვის, ერთ ტოტალურ-უნიტარულ მოდელზე სწორების გზით ჯერ უნდა შემცირდეს პედაგოგთა კონტინგენტი, ხოლო დარჩენილი რაოდენობა უნდა იყოს ცენტრალიზებულ მართვას დაქვემდებარებული მორჩილი ზომბირებული და „კასტებად“ დაყოფილი მასა. და თუ არსებულ ხელისუფლებას ეს არ სურს, მაშინ შაშკინის ამ საიდუმლო დიქტატ-ტაქტიკაზე უარი უნდა თქვას, თავად პროფესიონალ პედაგოგებს უნდა ჰკითხოს, როგორ ესმით მათ განათლების მერმისი და არა „პროფესიული განვითარების“ ასპარეზზე მაღალ თუ დაბალ საფეხურებზე შემთხვევით ან ნეპოტიზმით „შემოხეტებულ“ დილეტანტებს.

დავით ფერაძე
ისტორიკოსი, პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

მოგზაურობა წიგნის სამყაროში

სტენდი მოამზადეს: გოგა სირაძემ, გოჩა ნეფარიძემ, ოლია ვაჩაძემ

თემი, რომელსაც ველევის საჯარო სკოლა ემსახურება, მთიანი და რთული გეოგრაფიული მდებარეობისაა. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, რის გამოც მოსწავლეებთან ძირითადად ინდივიდუალურად ვმუშაობთ. იმავდროულად, თანამედროვე მოთხოვნებს რომ ვუპასუხოთ და ბავშვებს ჯგუფში მუშაობის უნარი გამოვუმუშაოთ, კლასგარეშე ღონისძიებებს ვიყენებთ, სადაც სხვადასხვა ასაკის ბავშვებს ვაერთიანებთ და ერთად ვმსჯელობთ პრობლემის გარშემო. ბიბლიოთეკაც გვაქვს, მაგრამ, მოგეხსენებათ, დღევანდელი თაობა უფრო კომპიუტერსა და ტელეგადაცემებსაა მიჯაჭვული. მეტი ჩვენი მოსწავლეებთვის ხელმისაწვდომი არაფერია. პედაგოგები, შეძლებისდაგვარად, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისი თაობა აღიზარდოს. ჩვენ პრობლემის მოგვარების ეს გზა გამოვნახეთ, სწორი ვართ თუ არა, თქვენ განსაჯეთ.

უფროსი თაობის ადამიანებისაგან ხშირად გავიგონებთ, დრომ მოიტანაო და მტკივნეულად განიცდიან შეჩვეულის შეცვლას, მაგრამ დროის თვისება ცვალებადობაა, მას ვერ შეაჩერებ. რაც უფრო სწრაფია ტექნიკის პროგრესი, მით უფრო სწრაფია ცვალებადობა. ეს ეხება წიგნისადმი დამოკიდებულებასაც და ადამიანურ ურთიერთობებსაც. დადგენილ მორალურ კანონზომიერებას სურვილი და საჭიროება ანაცვლებს. ადამიანი პრაქტიკული გახდა. არა და, ოცნება ცხოვრების გამლამაზებელია, ფაქიზი სულის ნავთსაყუდელი. ოცნების გარეშე ადამიანთა ყოფა ორფეხა ცხოველთა ხურხუზს დაემსგავსებოდა.

მივაბრუნოთ ბავშვები წიგნისაკენ, ვასწავლოთ ოცნება, ვაზიაროთ ხელოვნებას, ვასწავლოთ ხელოვნების ნიმუშების აღქმა. ამ მიზნით შემოვიღეთ სკოლაში კინოსა და წიგნის დღეები. ვუყურებთ – ვმსჯელობთ, ვკითხულობთ-ვაანალიზებთ და ერთად ვმოგზაურობთ კინოსა და წიგნის სამყაროში. კინოჩვენებას ინგლისური ენის მასწავლებელი. პროექტ „ასწავლე საქართველოსათვის“ წარმომადგენელი **თამარ ბედენაშვილი** ხელმძღვანელობს, წიგნის სამყაროში მოგზაურობას კი – **კატუშა (ეკატერინე) ჭიჭინაძე-გოგსაძე**.

წარმოგიდგენთ ჩვენ მიერ მოწყობილ ერთ ღონისძიებას, რომელშიც მეოთხე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასების მოსწავლეები ჩავრთეთ. ამ კლასებში მხოლოდ თითო მოსწავლეა, მეხუთე-მეექვსე კლასები არ გვყავს. ასე რომ, შეძლებისდაგვარად, ყველა მოსწავლე ჩართულია.

ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 165 და გარდაცვალების 120 წლისთავის აღსანიშნავად წავიკითხეთ მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“, ვნახეთ ფილმი და მოვაწყვეთ დისკუსია თემაზე: „ვინ არის დამნაშავე“.

მიზანი: მხატვრული ლიტერატურით დაინტერესება; წიგნის სიყვარულის გაღვივება; კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავება; მოსმენის კულტურის ჩამოყალიბება; სხვისი აზრის პატივისცემა.

ღონისძიება მოვამზადეთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელ **თეონა მაცაბერიძესთან** ერთად.

შესავალი

ალექსანდრე ყაზბეგის ყველა გმირი მშობლიური ხევის ბუნებასავით ლამაზია, მყინვარწვერივით ზვიადი, ამაყი და ქედუხრელი, თერგივით თავისუფლებისმოყვარე, დაუდეგარი და დაუმორჩილებელი. როგორც თერგი ებრძვის და ეხეთქება კლდოვან კალაპოტს, ისე იბრძვიან მისი გმირები საკუთარი უფლებების დასაცავად.

მე გიამბობთ მწერლის ლამაზი, მაგრამ ტრაგიკული სიყვარულის 2 ეპიზოდს: ახალგაზრდა განებივრებულ მთის მებატონის შვილს გლეხის ქალი, სახელად ძიძია, შეჰყვარებია, მაგრამ ოჯახს მასზე ქორწინების ნება არ მიუცია. ქალს დარდისათვის ვერ გაუძლია, ჭლექით დაავადებულა და გარდაცვლილა. ხალხის გადმოცემით, მწერლის შეყვარებულის საფლავი ხევის ერთ-ერთ სოფელში დღემდეა შემონახული, რაც მოხევეთა პატივისცემის დასტურია თავისი კუთხის მწერლისადმი. ეს მეორე სიცოცხლეა, რომელიც მწერლის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო და მანამ გაგრძელდება, სანამ ქართველი ერი იქნება.

მეორე დიდი სიყვარული რუსეთში სასწავლებლად წასულს ეწვია. მან თავად ჭავჭავაძის ოჯახში გაიცნო გრაფინია ნინო ჩერნიშევ-კრუგლიკოვა და ცოლად შერთვა გადაწყვიტა, დედას ნიშანიც გაგზავნინა, მაგრამ ეს სიყვარულიც უიღბლო გამოდგა. ალექსანდრე ყაზბეგს სასიმამროს მეგობართან უკმაყოფილება მოუვიდა. რუსმა გენერალმა ქართველი პატრიოტები გააკრიტიკა და განაცხადა: რუსეთს შესწევს ძალა ქართველები წელში გაგტეხოთო. ამ სიტყვებმა საშინლად იმოქმედა პატრიოტ და მგრძნობიარე მწერალზე და საცოლის ოჯახი დატოვა. ქორწილი ჩაიშალა. უფრო მეტიც, გენერალს რომ დროულად წერილობით ბოდიში არ მოეხადა, საქმე დუელამდე მივიდოდა. არც დუელი შედგა და აღარც ქორწილი. მოგვიანებით მწერალი დაწერს: „მე და ნინო სხვადასხვა გვარტომისა ვიყავით, რადგან ერთმანეთის სიწმინდეებს გულწრფელად ვერ ვაფასებდით“.

ამის შემდეგ სასოწარკვეთილი მწერალი მალე დაბრუნდა სამშობლოში. ხელში კომბალი აიღო და, როგორც ონისე წავიდა დედულეთში ცხვრის სამწყესავად, ისე წავიდა ცხვარში მწყემსად. იქ მან შვიდი წელი დაჰყო. თავის მწყემსად ყოფნის ამბავი გადმოცემული აქვს ნაწარმოებში „ნამწყემსარის მოგონებანი“. როგორც ამბობენ, ძიძია ნინო ჩერნიშევ-კრუგლიკოვას სახეა მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“.

ოლია ვაჩაძე, VIII კლასი: *„ხევისბერი გოჩას“ გმირები ტრაგიკული პიროვნებები არიან. ტრაგიკულია ძიძიაც, გუგუაც, ონისეც და ხევისბერი გოჩაც – ყველანი იღუპებიან და ყველა მეცოდება. ჩემი ნება რომ იყოს, ამ ნაწარმოებს სხვანაირად დავამთავრებდი. სიცოცხლე ხომ მოკლე გასეირნებაა უსასრულობასა და მარადიულ ძილს შორის. ისედაც წუთისოფლის სტუმრები ვართ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უფლის ნაჩუქარი სიცოცხლის შემოკლება. არც ერთ გმირს არ დავასრულებინებდი ტრაგიკულად სიცოცხლეს, მაგრამ ჩემი დაწერილი არ არის, მწერალმა კი ასე ინება.*

რომ დავფიქრდი და ჩავღრმავდი, ნაწარმოების ყველა ტრაგედიის მიზეზი ძიძიასთან იყრის თავს, რადგან მას გაცნობიერებული არ ჰქონდა თავისი გრძნობები, სიყვარულის მოთხოვნა სიყვარული ეგონა და დასთანხმდა გუგუას ცოლობაზე. სიყვარულის მოთხოვნასა და სიყვარულს შორის დიდი უფსკრულია. ნამდვილი გრძნობა ეწვია, ამ უფსკრულში გადაიჩეხა და თან გაიყოლა ქმარიც, ხელისმომკიდეც და ხევისბერიც. ვფიქრობ, ქორწინებას დიდი დაკვირვება უნდა.

ნაწარმოების გმირების უბედურების მიზეზია, აგრეთვე, მთის მკაცრი და მოძველებული წეს-ჩვეულებები. ძიძიას, ონისესა და გუგუას ტრაგედიამ დამანახა, რომ არასწორი იყო, ქალს საქმროსთან განმარტოების უფლება რომ არ ჰქონდა ჯვრისწერამდე ან კიდევ ახლოს გაცნობის. ცხოვრება ყველაზე დიდი მასწავლებელია.

გოჩა ნეფარიძე, VII კლასი: *შეძრული დავრჩი ნაწარმოების ფინალით. ვერ წარმომიდგენია, მამამ შვილი როგორ უნდა გაიმეტოს სასიკვდილოდ. მაგრამ თურმე ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მერიმეც ხომ მსგავს ამბავს აღწერს „მატეო ფალკონეში“ (ეს ნაწარმოებიც წავიკითხეთ სკოლაში). ძალიან არ მომწონს ფინალი, განსაკუთრებით შემეცოდა ხევისბერი. მთელ ხევში ჭკუის საკითხავმა კაცმა როგორ დაასრულა სიცოცხლე! თემის ჭეშმარიტ წინამძროლს უნდოდა, შვილიც გამორჩეული ჰყოლოდა და მისი ხევისბერობა უჩრდილო ყოფილიყო.*

მთელ ხევში ჭკუა-გონებით განთქმული, ყველას ჭკუის დამრიგებელი, დინჯი და გაწონასწორებული პიროვნება შვილის აღსარებამ ერთბაშად მოარღვია და საკუთარი ღირსების დასაცავად და სირცხვილის ჩამოსარეცხად ერთპიროვნული და ნაჩქარევი განაჩენი გამოუტანა, ამით საკუთარი ღირსების გადარჩენა უნდოდა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. მიუხედავად მამის ეჭვებისა, ონისე ხომ მთელ ხევში განთქმული ვაჟკაცი იყო, სამშობლოსათვის თავდადებული. გავიხსენოთ მისი სიტყვები, როცა ხევისბერი ნუგზარ ერისთავის განზრახვას ამცნობს მოხევეებს და მიმართავს: დავმორჩილდეთ თუ არა მტერსო, ონისე ერთ-ერთი პირველი პასუხობს: „გოჩაუ, მაგას რაისთვის გვეკითხები? ხევმა ძმობა იცის და ღვთის მადლმა, მოკეთედ მყოფი მეზობლისათვის ჩვენგანი ყველა თავს გადასდებს. მოკვდეს ის კაცი, ვინც მოძმეს ვერ გაიტანს, შერცხვეს ის ქუდოსანი, ვინც მეზობელს ღალატად შეადგების, მაგრამ ის მოხევეც დაიმარხოს, ვინც ყმად გახდომა ისურვოს... ერთხელ დაბადებულებს ერთხელ გვინდა სიკვდილი. გავწყდეთ, ხალხო და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ!“ – ამ სიტყვების მთქმელი არ შეიძლება მოღალატე და მოძმეთ გამწირავი იყოს.

ონისე დიდი სიყვარულის მატარებელი პიროვნებაა. მას სამშობლოც ძლიერ უყვარს, ქალიც და მეგობარიც. თანაგრძნობას იმსახურებს მისი საკუთარ თავთან ბრძოლა, მას ხომ, როგორც ხელისმომკიდესა და გუგუას მეგობარს, ძიძიას სიყვარულის უფლება არ ჰქონდა. ცდილობს, მაგრამ გულს ვერ ერევა. ონისეს ღირსებას მატებს ისიც, რომ გუგუას გასამართლების დროს სინდისმა არ მისცა გაჩუმების უფლება. თავს დამნაშავედ გრძნობს მეგობრის წინაშე, იცის, რომ გუგუა ხევს არ უღალატებდა და ამბობს იმას, რაც მხოლოდ მან და უფალმა იცის. პატიოსანი და კაცთმოყვარე გუგუა ვერ გაიმეტა იმისთვის, რა განაჩენიც გამოუტანეს.

გოგა სირაძე, IX კლასი: *ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ არ მასვენებს კითხვა: ვინ არის დამნაშავე – ონისე, გუგუა, ძიძია, ხევისბერი თუ ყველა ერთად? ვფიქრობ, ისინი მხოლოდ მსხვერპლნი არიან. ჩემში აღტაცება გამოიწვია ხევისბერის პიროვნებამ და მისმა საქციელმა, კერძოდ იმან, რომ მან არ ისარგებლა თავისი მდგომარეობით და მთელი ხევის სამაგალითოდ დასაჯა შვილი. თუმცა ღრმად თუ ჩავუკვირდებით, რაშიც ონისე თავს იდანაშაულებს, რა ბრალსაც მამა უყენებს – მოძმეთ ღალატს, ამ საქმეში უდანაშაულოა. მას სინდისის ქენჯნა აწუხებს მეგობრის წინაშე და ამის გამო იტანჯება და რადგან ძიძიასთან დარჩა, ჰგონია, რომ მტერი მას გამოეპარა. თუ მშვიდად განვსჯით, მივხვდებით, რომ მტერი მაშინ შემოაპარეს ბეჩერამ და თოფსიროყომ, ვიდრე ის ხევისბერთან იმყოფებოდა, შემდეგ კი მის მოსაკლავად გაქცეულ გუგუას მიჰყვენ ფეხდაფეხ.*

როგორი მოსასმენი იყო ხევისბერი მამისათვის შვილის აღსარება. მეხად დაეცა შვილის სიტყვები ნუგზარ ერისთავთან ომის გადატანის დავიდარაბის მერე. გაწყდა სიმტკიცის ჯაჭვი, მოირღვა მთა, ზვავად დაასკდა თავის სისუსტეს და თვითონაც შიგ მოჰყვა. ის ხომ ღმერთი არ იყო, ადამიანი იყო, თავისი ცხოვრების წესით თვისტომში ამაღლებული. ამის შემდეგ როგორღა უნდა ეცხოვრა, როგორღა უნდა შეეხედა მათთვის, ვინც ხევის ბედი ანდო. სირცხვილის ჩამორეცხვა და სისუსტის დაძლევა შვილის დასჯით მოინდომა, მაგრამ... ხევისბერი რომ იყო და სხვაზე მაღლა მდგომი, ამიტომ არ ჰქონდა ერთპიროვნული განაჩენის გამოტანის უფლება, მით უმეტეს – აღსრულების. მან ადამიანის უფლებაც დაარღვია და კანონიც. ჩემი აზრით, დამნაშავე ხევისბერია. აფექტის მდგომარეობაში, ერთპიროვნულად, თემის საბჭოს წევრების აზრის გაუთვალისწინებლად, არ უნდა დაესაჯა შვილი!

* * *

გოგა სირაძემ შესთავაზა მოსწავლეებს, პერსონაჟთა ქმედებები დღეს მოქმედი „ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის“ საფუძველზე განეხილათ (მოსწავლეები წინასწარ კლასგარეშე მუშაობისას გაეცნენ დეკლარაციის ძირითად მუხლებს).

მან დაფაზე გააკრა წინასწარ მომზადებული ფორმატი – ამონარიდები დეკლარაციიდან, რომელზეც ამოწერილი ჰქონდა სასიცოცხლო მნიშვნელობის უფლებების ჩამონათვალი. მოსწავლეებს სთხოვა, ყურადღებით წაეკითხათ უფლებათა ჩამონათვალი, წყვილებში და მიმდევრობით დაესახელებინათ, რომელი უფლებები იქნა დარღვეული ონისეს, ძიძიასა და ხევისბერი გოჩას შემთხვევაში.

მოსწავლეებმა ჩამოთვალეს ეს უფლებები, გოგა სირაძემ ისინი ფერადი მარკერებით მონიშნა ფორმატზე. იმსჯელეს და შეჯერდნენ, რომ დაირღვა ადამიანისათვის ძალიან მნიშვნელოვანი უფლებები. დაასკვნეს, რომ ყოველ დროში მთავარი ფასეულობა იყო ადამიანის სიცოცხლე, ღირსება. წარსულში ხშირად ხდებოდა ამ უფლებათა უხეში დარღვევა. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა თანამედროვე ეპოქაშიც აქტუალურია. რისი გაკეთება შეუძლია თითოეულ ჩვენგანს? პატივი უნდა ვცეთ სხვის უფლებებს და ამით დავიცავთ ჩვენს უფლებებს.

დასკვნა: ტრადიციები, დრო და ადამიანები

ოთხი ადამიანის ტრაგედიაა გადმოცემული ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“. ცალკე აღებული ოთხივე დიდებული პიროვნებაა. დასანანია, რომ ასე ტრაგიკულად იღუპებიან. ვსვამთ კითხვას: ვინ არის დამნაშავე? განსასჯელის სკამზე დასაჯდომად ოთხივე გვენანება. მაგრამ მოხდა ტრაგედია, უმიზეზოდ კი არაფერი არ ხდება – შედეგს მიზეზი განაპირობებს. განსაკუთრებით თავზარდამცემია მამის მიერ შვილის მკვლელობა. მსოფლიო ლიტერატურაში ანალოგები მოგვეპოვება: მერიმეს „მატეო ფალკონე“ და შევჩენკოს „ტარას ბულბა“. სამივე ნაწარმოებში მშობლები ზნეობრივი ნორმების დარღვევას არ ჰპატიობენ შვილებს. ჩნდება კითხვა: ხომ არ არის ძველისა და ახლის ჭიდილი? ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ სწორედ მთაში გაბატონებული ზოგიერთი ადათ-წესის ყავლგასულობას ვხედავ.

დროის თვისება ცვალებადობაა. საზოგადოების ცვლილებასთან ერთად, პერიოდულად, იგი ტრადიციების გადაფასებას ახდენს. თუმცა, რაც ღირებულია და დროს უძლებს, რჩება, ხოლო რასაც ყავლი გასდის და დრომოჭმულია, გადის ხმარებიდან. საერთოდ, ტრადიციები დროის შესაბამისად უნდა შეიცვალოს და ცივილიზაციის მოთხოვნებს მოერგოს, თორემ ათასწლეულების მიღმა შექმნილი და დაკრისტალებული ადათ-წესები საზოგადოების განვითარების მუხრუჭად და წინსვლის შემაფერხებლად იქცევა.

ალექსანდრე ყაზბეგი „ხევისბერ გოჩაში“ აყენებს მთაში გაბატონებული ზოგიერთი ტრადიციის დახვეწის საჭიროებას.

მან, ონისესა და ძიძიას სახით, ახალი ადამიანების სახე შექმნა, რომელთაც ბზარი შეაქვთ მთის მკაცრ კანონებში და სააშკარაოზე გამოაქვთ გაბატონებული ტრადიციების უარყოფითი მხარეები. მისი გმირები სიახლის დამკვიდრებას ეწირებიან, რადგან სიახლე არასდროს უმსხვერპლოდ არ იკიდებს ფეხს. თვითონ ყაზბეგიც ხომ დააბნია მთის პატრიარქალურსა და ქალაქის ცივილიზაციის წესებსა და ადამიანურ ურთიერთობათა შორის სხვაობამ. ამ უნიჭიერესმა კაცმა სიცოცხლე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაასრულა, ახლობლებისაგან განწირულმა და ყველასაგან მიტოვებულმა. ვფიქრობ, თავისი ნაწარმოების გმირებში საკუთარი მომავალი იწინასწარმეტყველა. საერთოდ, მწერლობა ხომ ცხოვრებაში განუხორციელებლის განხორციელებაა ქაღალდის ფურცელზე.

ეკატერინე ჭიჭინაძე-გოგსაძე

სასკოლო აქტივობა

ივანე მაჩაბლის ცხოვრება და მოღვაწეობა

მაკა ყიფიანი

6 მაისს, თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა თურქაძე**), ივანე მაჩაბლისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ამავე სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი **რუსუდან მარკოზია** იყო. IX[1] კლასის მოსწავლეებმა – **ანნა გორგიშელმა, გიორგი ტალახაძემ, გიორგი ურუმაშვილმა, გიორგი ასათიანმა, ნიკო ჭედიამ, კოკო დვალიშვილმა, დეა შათირიშვილმა, მარიამ აფხაზავამ, რუსუდან ათაქიშვილმა, სალომე სიდამონიძემ, მარიამ სვანაძემ** (ხელმძღვანელი - **ირმა ჯიშიაშვილი**) შესანიშნავად წარმოაჩინეს ქართველი მწერლის, მთარგმნელის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრისა და ახალი სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები.

რუსუდან მარკოზია, 51-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი: *„ლიტერატურული საღამო, სახელწოდებით „საქართველო და მთაწმინდის ნიავი დღესაც ეძებს კვალდაკარგულ ივანე მაჩაბელს“, ივანე მაჩაბლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მივუძღვენით. IX[1] კლასის მოსწავლეები, ერთი თვის განმავლობაში, დიდი მონდომებითა და ინტერესით მუშაობდნენ, მოიძიეს და გაეცნენ უამრავ მასალას. სწორედ ასეთი გამოჩენილი ადამიანების მაგალითებზე უნდა იზრდებოდნენ მოსწავლეები. ჩვენი სკოლის პრეროგატივა და მიზანია, გავაცნოთ ღირსეული ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა. მათ უნდა იცოდნენ, რომ ივანე მაჩაბლის ღვაწლი ქართველი ხალხის საგანძურია. ამ ადამიანების ფასდაუდებელ საუნჯეს, მათ ნაშრომს და ნაღვაწს გაფრთხილება და დაფასება სჭირდება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თნადგომისათვის სკოლის დირექციას – ქალბატონ **მანანა თურქაძეს, თინათინ ყენიას** და **ნანა გიორგობიანს**“.*

კოკო დვალიშვილი: *„მოხარული ვარ, რომ ლიტერატურულ ღონისძიებაში მონაწილეობის საშუალება მომეცა. მე და ჩემმა მეგობრებმა ძალიან ბევრი საინტერესო და საჭირო ინფორმაცია მოვიძიეთ და შევიტყვეთ დიდებული ადამიანის შესახებ. „ყოველი გამოჩენილი ადამიანის მაგალითი უანგარო და პირუთვნელი სიყვარულია სამშობლოს მიმართ. თაყვანისცემის ღირსია ყველა, ვისაც ხალხის გონებრივი, სულიერი საგანძურის გამდიდრებაში თავისი წვლილი შეუტანია“. სწორედ ასეთი გახლდათ მთარგმნელი, თეატრალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი – ივანე მაჩაბელი“.*

დეა შათირიშვილი: *„საინტერესოა, ვინ იყვნენ ივანე მაჩაბლის წინაპრები? „პაპა – სვიმონ მაჩაბელი ფრიად განათლებული კაცი იყო. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის „ნაობახტში“ იჯდა, გადასახლებას გადაურჩა. არ გატყდა და გათავისუფლების შემდეგ თავის სამთავროში ჩაიკეტა და ლექსების წერას მიჰყო ხელი. ხან ძველ ლიტერატურას კითხულობდა, ხან წერდა. „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ზეპირად იცოდა. ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე მეზობელი თავადები და სტუმართმოყვარე მასპინძლის მოსწრებული სიტყვა-პასუხით ტკბილად ატარებდნენ დროს... ივანე მაჩაბელი ფეოდალის, იმ დროისათვის უკვე გაღარიბებულ, ოჯახში დაიბადა. მამა – გიორგი მაჩაბელი დიდად შრომისმოყვარე არ გახლდათ. ხშირად ჩადიოდა ქალაქში, ფულს ფლანგავდა ორთაჭალის ბაღებში, მასკარადებზე, მდიდრულ კარეტებში, ახალგაზრდა ბანოვანებში. მას ცოლად ჰყავდა სომეხი ერევანცოვის ქალი, ნატალია. ახალგაზრდა თავადიშვილი იმდენად ქალის სილამაზეს არ მოუხიბლავს, რამდენადაც მამამისის ოქროებმა მოსჭრა თვალი. მაგრამ, მდიდარ სიმამრს ისეთი ხელგაშლილობა არ გამოუჩენია, როგორსაც წარჩინებული სიძე მოელოდა. დედა – ნატალია შრომისმოყვარე, ანგარიშიანი და ყაირათიანი, ქართულად აღზრდილი იყო. იცოდა წერა-კითხვა, მაგრამ ქართულ ლიტერატურას ზერელედ იცნობდა. შვილების აღზრდის საქმეში არ ერეოდა, ეს მთლიანად პაპიდას ჰქონდა მინდობილი. პაპიდა – ელენე ადრე დაქვრივდა და, რაკი შვილიც არ ჰყავდა, ძმის ოჯახს დაუბრუნდა. ივანეს პაპიდა, გარეგნული სიმკაცრის მიუხედავად, საოცრად საყვარელი და ალერსიანი იყო“.*

გიორგი ასათიანი: *„პირველი მასწავლებელი – პაპიდა – საპატიო და საკმაოდ ავტორიტეტული იყო. მან შეასწავლა პატარა ვანოს წერა-კითხვა, ექვსი წლისა მშვენივრად კითხულობდა ხუცურსა და მხედრულსაც, ზეპირად იცოდა ლოცვანი, ფსალმუნები. ხმაც სასიამოვნო ჰქონდა და, როცა სახარებას ტკბილად ჩააბულბულებდა, პაპიდა თვალს მილულავდა, თითქოს მთვლემარეს წმინდა მოციქულები ეჩვენებოდა. მან გააცნო ბავშვს ქართული ლიტერატურის საგანძური და სწავლის წყურვილი აღუძრა. შვიდი წლის ვანო პაპიდას ეკლესიაში დაჰყავდა, მღვდელს ეხმარებოდა. საამური ხმით დაიწყებდა სამოციქულოს კითხვას. მისი პატარა, მაგრამ სასიამოვნო ხმა ტაძარში სჭექდა. საბავშვო მწერალი ეკატერინე გაბაშვილი იგონებს: „...უცებ ხმა გავარდა, სამოციქულოს პატარა ბავშვი კითხულობსო და ხალხი უფრო აჩოჩქოლდა და ეკლესიის შესავალს მიაწყდა. მამაჩემმა ფეხს აუჩქარა, ხელი უფრო მაგრად ჩამჭიდა და ეკლესიაში შემიყვანა. ხატების წინ მრავალი სანთელი ენთო, მაგრამ ეკლესიაში მაინც ბნელოდა. ამ ბინდში მკაფიოდ მოსჩანდა მხოლოდ ხელში აყვანილი რვა წლის ბავშვი, რომელსაც მარჯვენა ხელში დიდი კელაპტარი ეჭირა და წინ გადაშლილ უშველებელ წიგნს კითხულობდა... ვინ არის ეს ბავშვი? – კითხვით მიმართა მამამ გვერდით მდგომ მანდილოსანს. ეს ჩემი ძმისწულია, ჩემი საამაყო და საყვარელი მოწაფე, ჩემი იადონი და მომავალი საქართველოს პატრიარქი – სიამაყით თქვა ვანოს პაპიდა ელენემ. მაგრამ პატარა ვანო მაჩაბელი არაფრით არ ჰგავდა მომავალ პატრიარქს. მას ეტყობოდა, რომ მეამბოხე სულისა და დაუდგრომელი ბუნების ადამიანი იქნებოდა. ამას ნათლად ღაღადებდნენ მისი მკვირცხლი თვალები და ასაკისთვის შეუფერებელი ამაყი გამოხედვა. იგი ნამდვილი შთამომავალი იყო თავის პაპის, სამაჩაბლოს უკანასკნელი ღირსეული მთავრის, სვიმონ მაჩაბლის“.*

რუსუდან ათაქიშვილი: *„მწიგნობრობა მაჩაბელზე მემკვიდრეობით გადადიოდა. ვანოს ცხოვრებაში ახალი, მეორე საფეხური იწყებოდა, ცხრა წლის ბავშვი მეორე მასწავლებლის – ძმის ხელში გადავიდა. ძმებს შორის დიდი ასაკობრივი განსხვავება იყო, თითქმის ათი წელი. ახალმა მოძღვარმა მოწიწებით და სიყვარულით ჩაიბარა მოწაფე, რათა გზა გაეკვალა მისთვის. 1863 წელს, ზაფხულის მიწურულს, სისხამ დილით, მაჩაბლიანთ ჭიშკრიდან ურემი გამოგორდა, რომელსაც ვანო მაჩაბელი თბილისში მიჰყავდა. გამოთხოვება უხმო და სევდიანი იყო. მგზავრები დიდხანს უხმოდ მიდიოდნენ, მაგრამ დუმილი მალე დაირღვა და მოსიყვარულე ძმებს შორის ჩვეულებრივი საუბარი გაიმართა... სოფლიდან ჩამოსული ვანო მაშინვე არ შესულა გიმნაზიაში. ერთი წელიწადი სახლში იყო და ძმის დახმარებით რუსულ ენას სწავლობდა. უფროსი ძმა განაცვიფრა ვანოს საოცარმა ლინგვისტურმა ნიჭმა. მან ისე ჩინებულად დაიჭირა „ეგ ზამენები“, რომ პირდაპირ მეორე კლასში ჩარიცხეს და, როგორც მომზადებული და ნიჭიერი ბავშვი, პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს... ვანო მაჩაბლის ცხოვრება კიდევ ერთი საფეხურით ამაღლდა, როდესაც მან გიმნაზიის კარი შეაღო. მანამ გიმნაზიაში შევიდოდა, პატარა ვანოს ეს სასწავლებელი წმინდა აკვნად ჰქონდა წარმოდგენილი. სინამდვილეში თბილისის გიმნაზია ისეთივე იყო, როგორც ყველა იმდროინდელი სასწავლებელი. ჩვეულებრივ პედაგოგიურ ხერხად იყო მიღებული მოწაფის გაროზგვა და ცემა-ტყეპა. მასწავლებლად უმეტესად გამოფიტული, უშინაარსო და უხალისო ჩინოვნიკები იყვნენ. ქართული ენის სწავლება აბუჩად იყო აგდებული და ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მასწავლებლები ხშირად არაკვალიფიციურნი იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ „ბედნიერი გამონაკლისიც“ გამოერეოდა. ვინ იცის, რამდენი ყმაწვილისთვის გაუკვალიათ მომავლის გზა ისეთ დიდ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური, ნიკო ცხვედაძე, ვასილ ბარნოვი... ისინი ადამიანურ გრძნობას უღვიძებდნენ ბავშვებს, სულიერად ამაღლებდნენ, ასწავლიდნენ სამშობლოსათვის თავდადებას, პატიოსნებას. ვანო მაჩაბელსაც ხვდა ასეთი ბედნიერება. გიმნაზიაში ქართულ ენას ცნობილი საზოგადო მოღვაწე – პეტრე უმიკაშვილი ასწავლიდა. მასწავლებელი აღფრთოვანებული იყო მოწაფის ნიჭით და გულისხმიერებით. 16 წლის ვანომ წარმატებით დაამთავრა გიმნაზია“.*

გიორგი ტალახაძე: *„1871 წელს ივანე მაჩებელი სასწავლებლად პეტერბურგში გაემგზავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩააბარა. იქ ვანო მაჩაბელს აღმოუჩნდა მფარველი და დამხმარე – ქართველი მეცნიერი გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც მთელ ქართველ სტუდენტობას უწევდა მზრუნველობას, მაგრამ განსაკუთრებით დაახლოებული იყო მაჩაბელებთან. მოსწონდა ძმების შრომისმოყვარეობა, საქმის სიყვარული, სიბეჯითე. ვანო ბევრს კითხულობდა, დაწაფებული იყო სწავლას, ლექციებს არ აცდენდა. ან კი როგორ შეიძლება გაეცდინა, როცა ისეთი დიდი მეცნიერები ჰყავდა ლექტორებად, როგორებიც იყვნენ: სეჩენოვი, მენდელეევი, ვაგნერი. მათი წყალობით ვანო მაჩაბელი იღებდა ღრმა, ფართო საბუნებისმეტყველო განათლებას. მაგრამ მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით როდი კმაყოფილდებოდა, იგი ხომ იმ ქალაქში იმყოფებოდა, სადაც პოეტური ნათლობა ჰქონდათ მიღებული ალექსანდრე პუშკინს, ნიკოლოზ ნეკრასოვს, დოსტოევსკის. დოსტოევსკის ხშირად სახლამდე მიჰყვებოდა ლიტერატურით გატაცებული ვანო მაჩაბელი. ყოველივე ამან განაპირობა მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. 1875 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და საქართველოში დაბრუნდა“.*

ნიკო ჭედია: *„პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მაჩაბელი საქართველოში ბრუნდება, მაგრამ უცხოეთში გამგზავრებაზე ფიქრობს. 1876 წელს, აგრონომიული განათლების მისაღებად, ევროპაში მიემგზავრება – ჯერ გერმანიაში, შემდეგ ჰოჰენჰაიმის სასწავლებელში, ხოლო იქიდან საფრანგეთში. მაჩაბელი იყო პარიზის იმდროინდელი ქართული კოლონიის სულისკვეთების გამომხატველი და ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი. ისმენდა ლექციებს სორბონაში და კოლეჟ დე ფრანსში. ევროპელთა ნაზრევით გატაცებული ქართველი საზოგადო მოღვაწე, დიდად განათლებული და ტემპერამენტიანი ახალგაზრდა, მგზნებარე პატრიოტი ვანო მაჩაბელი ძმას პეტერბურგში მთელ თაბახებს წერდა – გულს უშლიდა, უზიარებდა უცხოეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს, სწერდა, როგორ უნდა იბრძოლონ სამშობლოს კეთილდღეობისთვის“.*

ანნა გორგიშელი: *„აღსანიშნავია, ძმების ურთიერთდამოკიდებულება. მოსიყვარულე ძმა, ვასიკო ამაყობდა უმცროსი ძმის ნიჭითა და მოქალაქეობრივი სინმინდით: „ბედნიერებაა კაცისთვის იმგვარი ძმა ჰყავდეს, როგორიც ვანოა. იმის წიგნები დასაბეჭდია და ჩარჩოში ჩასადები. მეც ყოველნაირად ვცდილობ, აქედან შემწეობა არ მოვაკლო“. იშვიათი ძმობა ჰქონდათ მაჩაბლებს. ასეთი დამოკიდებულება უფრო ხშირად ობლობაში და გაჭირვებაში გამოზრდილ ძმებს აქვთ ხოლმე. ერთმანეთის სიყვარული, პატივისცემა და მზრუნველობა ბოლომდე გაჰყვათ. ცხოვრების პირობებით მაჩაბელი არასოდეს ყოფილა განებივრებული. ბავშვობიდანვე გაჭირვებაში იზრდებოდა და ხშირად იძულებული იყო ლუკმა-პურის მოსაპოვებლად თვითონვე ეზრუნა. სამაგიეროდ, განებივრებული იყო ადამიანებთან ურთიერთობით. ყოველგვარ წრეში, ყველა ქვეყანაში მას პატივს სცემდნენ და აფასებდნენ. ასეთი მოპყრობით გათამამებული ვანო გაბედულად შეიჭრა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე და ერთბაშად აღმოჩნდა ილიას გვერდით. ეს მისთვის სულაც არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან წინასწარვე იყო ამისთვის შემზადებული და თავს მოვალედ თვლიდა, მთელი ჯანი და ენერგია სამშობლოს კეთილდღეობისთვის მოეხმარა“.*

გიორგი ურუმაშვილი: *„საქართველოში დაბრუნებული მაჩაბელი ჩამოსვლისთანავე იწყებს მოღვაწეობას ილია ჭავჭავაძესთან ერთად და ჩართულია იმ საქმეში, რაშიც თავად ილია მონაწილეობს. ილიამ, როგორც მფარველმა, ფართო საზოგადოებას წარუდგინა განათლებული და სახალხო საქმისთვის თავდადებული ახალგაზრდა, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მამოძრავებელი ძალა გახდა. მის სახელთანაა დაკავშირებული ბევრი ახალი წამოწყება და სასარგებლო საქმე. იმავე წელს საფუძველი ეყრება მეორე დიდ ეროვნულ საქმეს – მუდმივი თეატრის დაარსებას და თეატრალური საზოგადოების ჩამოყალიბებას... საზოგადოებას მაჩაბელი ილია ჭავჭავაძის ღირსეულ მოწაფედ მოევლინა. იგი სათვეში ჩაუდგა „ივერიას“ და „დროებას“... ყოველივე ამან საზოგადოების იმ ფენებში, სადაც მხოლოდ ინტრიგა, შური და ღვარძლი იყო დაბუდებული, კიდევ უფრო გააღრმავა მითქმა-მოთქმა ილიასთან დამოკიდებულების შესახებ... პირველი განხეთქილება სალიტერატურო ასპარეზზე არ წარმოქმნილა. ეს მოხდა ბანკში, ჯერ კიდევ ადრე, სანამ მაჩაბელი დირექტორობაზე იყრიდა კენჭს. ბანკის ერთ-ერთ კრებაზე, მაჩაბელი პირველად გამოვიდა ილიას წინააღმდეგ. საკითხი ეხებოდა მოგების საზოგადო საქმეზე განაწილების წესს. იგი მოითხოვდა, რომ მოგების განაწილება, მხოლოდ და მხოლოდ, დამფუძნებელთა*

სასკოლო აქტივობა

უშუალო მონაწილეობით მომხდარიყო. თუ ეს წესი არ გავიდოდა, სწერდა იგი ძმას: „მაშინ დავანებებ თავს ბანკს და სოფელში წავალ“. ილიას ეწყინა ვანოს ასეთი მძაფრი და შეუპოვარი გამოსვლა. მეტისმეტად თავდაჯერებული ყოფილხარო, უთხრა ვანოს. ეს იყო და ეს. მაგრამ ეს უმნიშვნელო შემთხვევა იქ შეკრებილებს არ გამოპარვიათ. ერთმა ნაწილმა შეაქო ვანოს პირდაპირობა, ხოლო ბანკის დირექტორმა, დავით ავალიშვილმა, დრო იხელთა და ილიას უთხრა: „ხომ გეუბნებოდი, დირექტორად გაყვანა არ შეიძლებამეთქი“... დღეს იქნებ გაგვიკვირდეს და გაგვეცინოს კიდეც, როდესაც ბანკსა და ბანკის საქმეების წარმართვის გამო ატეხილ დავიდარაბას გავიხსენებთ. ღირდა კი ეს ბანკი იმად, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების, სასიქადულო მწერლებისა და მოღვაწეების ნერვები ეწინწკნა, ჯანმრთელობა გაენადგურებინა და სიცოცხლე ჩაეწარებინა მათთვის? ახლა, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერავითარი ბანკის მოგება, ვერავითარი ფული ვერ აანაზღაურებს ილიასა და მაჩაბლის იმ ძვირფას დროსა და ჯანმრთელობას, რაც ხშირად სრულიად დაწვრილმანებულსა და არარსებით დავაში იფლანგებოდა. დაობდნენ იმაზე, რაც შეიძლება მეტი კაპიკები დაეზოგათ, ყაირათიანობით და მომჭირნეობით გაეზარდათ ბანკის მოგება, იმავდროულად, უმოწყალოდ ფლანგავდნენ დროსა და ჯანის სიმრთელეს, რითაც, ვინ იცის, რამდენი ბრწყინვალე მარგალიტი შეემატებოდა ქართული ლიტერატურის საგანძურს. კონფლიქტი, რომელიც ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის არსებობდა, მხოლოდ და მხოლოდ საბანკო საქმით იყო გამოწვეული. ეს იყო მართლაც ორი დიდი მოღვაწის კამათი, ისევ საქვეყნო ინტერესებიდან გამომდინარე. ამ უთანხმოების მიუხედავად, როცა მაჩაბელს გაუჭირდა (გაზეთის დახურვის ამბავი თუ სხვ.), ისევ ილიას მიმართავდა თხოვნით და ისიც უშურველად ეხმარებოდა ისე, რომ ძველ კამათს არ იხსენებდნენ. ილია დიდბუნებოვანი ადამიანი გახლდათ. მთავარი ის იყო, რომ მან იცოდა მაჩაბლის ფასი და მაჩაბელიც აფასებდა ილიას“.

მარიამ აფხაზავა: *„ვანოს და ილიას გზები გაიყო. ამის შემდეგ იწყება ახალი ეტაპი მაჩაბლის ცხოვრებაში – იგი დაუახლოვდა აკაკი წერეთელს. ვანო მაჩაბელი ქართული თეატრალური დასის მზრუნველი გახლდათ. მის მიერ თარგმნილი პიესები იდგმებოდა ქართულ სცენაზე. სწორედ აქ შეხვდა პირველ სიყვარულს, მაკო საფაროვას. იგი სცენის მშვენება იყო და მაჩაბლის ყურადღება დანახვისთანავე მიიქცია. მაშინ მაკო 18 წლის იყო. მათ დიდი გრძნობა აკავშირებდათ, იმდენად დიდი, რომ ვანო მზად იყო, ჯვარი დაეწერა ქმარგაცილებულ შვილიან ქალზე. თუმცა, საბოლოოდ, გადამწყვეტი როლი ვანოს ძმამ ითამაშა, რომელიც სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ ქორწინების. 1891 წელს ივანე მაჩაბელმა ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილზე იქორწინა. ამ დროს ვანო 37 წლის იყო. თუმცა, ივანე ვერაფრით შეეგუა მაკო საფაროვასთან განშორებას, სიყვარულის გრძნობა ორივეს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მიუხედავად ყველაფრისა, ვანო მაჩაბელს უყვარდა და პატივს სცემდა მეუღლეს, ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილს“.*

სალომე სიდამონიძე: *„სამწუხაროდ, სავსებით შეუსწავლელია ჩვენი იმდროინდელი პრესა და მათ შორის ვანო მაჩაბლის „დროება“. მისი საფუძვლიანი ანალიზი მრავალ საინტერესო ფურცელს შემატებდა მაჩაბლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მაჩაბლის რედაქტორობის პერიოდში „დროება“ გამოირჩეოდა შეუპოვრობით, სისტემური და ენერგიული ბრძოლით გამძვინვარებული რეაქციის, ცარიზმის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ორგვარი იყო – აშკარა და ფარული. განსაკუთრებით მკაცრი იყო ცენზურა სწორედ იმ წლებში, როცა ვანო მაჩაბელი რედაქტორი გახლდათ. თვითმპყრობელური მთავრობა ცეცხლით და მახვილით სდევნიდა თავისუფალ აზრს. 1885 წელს მთავრობამ გაზეთი დახურა, მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილების სისტემატურად ბეჭდვის გამო, გაზეთის რედაქტორი კი პასუხისგებაში მისცეს და სამუდამოდ აუკრძალეს რაიმე გამოცემის რედაქტორობა. გაზეთის დახურვის მიუხედავად, მაჩაბელს თავისუფალი დრო ერთი წუთით არ ჰქონდა. ბანკის საქმეების პარალელურად, ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. დაიწყო „ოტელოს“ თარგმნა, ამ დროისათვის ნათარგმნი იყო „მეფე ლირი“, „ჰამლეტი“. იწყებოდა ახალი ერა ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში. ივანე მაჩაბელმა მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება შექსპირს მიუძღვნა. მის მიერ თარგმნილი შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე ნიმუშები – „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „რიჩარდ III“, „ანტონიო და კლეოპატრა“, „იულიუს კეისარი“ – გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით, აზრის სინათლითა და დინამიკურობით, დედნის პროზის შენარჩუნებით და შექსპირისეული „თეთრი ლექსის“ ოსტატური გადმოღებით. ვანო მაჩაბელი, მართლაც რომ, მაღალი რანგის პროფესიონალი იყო. შექსპიროლოგთა აზრით, მისი ნებისმიერი თარგმანი, სხვათა მიერ ადრე გაკეთებულ თარგმანებს ბევრად აღემატება. ამ აზრს იზიარებდა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ინგლისელი მთარგმნელი ოლივერ უოლდროპი, რომელიც მოხიბლული იყო მაჩაბლის თარგმანებით“.*

მარიამ სვანაძე: *„1897 წლის მაისში, ივანე მაჩაბელი მძიმედ ავად გახდა პლევრიტით. 1898 წლის 26 ივნისს, ხმა დაირხა ივანე მაჩაბლის უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ. მისი გაუჩინარება დღესაც ბურუსითაა მოცული და ისტორიის კუთვნილებაა. მთაწმინდის პანთეონში ქართველი მთარგმნელის სიმბოლური საფლავია. ძალზე სამწუხაროა, რომ ისეთი მამულიშვილი და ქვეყნის მოამაგე, როგორიც ივანე მაჩაბელი იყო, 44 წლის ასაკში, საქართველომ ასე უგზო-უკვლოდ დაკარგა. მადლიერ შთომავლობას მისი საფლავიც არ დარჩა პატივის მისაგებად. დიდი ადამიანები ხალხთან ერთად ცოცხლობენ, რადგან მათ ნაშრომს ხალხი უფრთხილდება, როგორც ფასდაუდებელ საუნჯეს. ასეთი ფასდაუდებელი საგანძურია ჩვენთვის ივანე მაჩაბლის ცხოვრება და მოღვაწეობა“.*

იუბილე

იწკრიალე საუკუნის სკოლის ზარო!

ყვავილებით მორთულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზი (დირექტორი – **ტარიელ ქათამაძე**), ირგვლივ სასიამოვნო მუსიკის ჰანგები ისმის – სკოლა დაარსებიდან საუკუნის იუბილეს ზეიმობს.

სკოლის ეზოში თავი მოიყარეს ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებმა: პროფესორებმა – **ნათელა დუმბაძემ, მადონა მიქელაძემ, თამილა მეიშვილმა;** მეცნიერ მუშაკმა **ანგული სარჯველაძემ**; აგრონომმა **ვასილ ბოლქვაძემ**; ექიმებმა – **დალი სიორდიამ, გულნარა ძნელაძემ, ემზარ დიასამიძემ, თამარ ქორჩილავამ, ნესტან შაშიკაძემ**; ინჟინერმა **მიხეილ სიორდიამ**; პედაგოგებმა – **მერი გვარიშვილმა, ლია გოგიჩაიშვილმა, ნატო მახარაძემ**; მღვდელთმსახურმა **მამა თევდორემ** (თავდგირიძე) და სხვ.

ნათელა დუმბაძემ და მადონა მიქელაძემ სკოლის ბიბლიოთეკას სამახსოვროდ გადასცეს საინტერესო წიგნები.

კურსდამთავრებულებმა გაიხსენეს სკოლაში სწავლის პერიოდი, პედაგოგები. ვინ იცის, რამდენი რამ აქვთ სამახსოვრო და ტკბილად მოსაგონარი, მათ ხომ ამ სკოლის მერხებიდან დაიწყეს მოგზაურობა ცოდნის უკიდეგანო სამყაროში.

წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილ მასწავლებლებს.

საღამოზე სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი წარმოდგენილ იქნა ცეკვით „ხორუმი“ (ხელმძღვანელი – **ალექსანდრე ხიდაშელი**), სკოლის სიმღერის გუნდმა „მრავალჟამიერი“ იმღერა (ხელმძღვანელი– **მაია დათუნაიშვილი**), მე-12 კლასის მოსწავლემ, **მონიკა ვარშანიძემ**, შეასრულა სიმღერა „დრო მიდის“.

საზეიმო საღამო მიჰყავდათ მოსწავლეებს: **ნინო ქათამაძეს, მონიკა ვარშანიძეს, ნოდარ სურმანიძეს, ქრისტინე ბერიძეს, გია დიასამიძეს** და **გიორგი ცენტერაძეს**; ღონისძიება მოამზადა სკოლის ბიბლიოთეკარმა **ეთერ ბეჟანიძემ.**

დასასრულს აღინიშნა ქართველი პოეტის, **ზურაბ გორგილაძის**, დაბადების დღე, რომლის პატივსაცემად მე-6 კლასის მოსწავლემ, **დავით ქათამაძემ**, წაიკითხა მისი ლექსი „ოჰოი ნანა“. სკოლის დირექტორმა ტარიელ ქათამაძემ მადლობა გადაუხადა სკოლის ბიბლიოთეკარს ეთერ ბეჟანიძეს ღონისძიების მომზადებისთვის და სტუმრებს სთხოვა, დიდი მამულიშვილისა და პოეტის – ზურაბ გორგილაძის საპატივცემულოდ, სკოლის სკვერში დაერგოთ ხეები. სკვერს ზურაბ გორგილაძის სახელი დაერქმევა.

რომან ჯაფარიძე
ჩაქვის №1 საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერი

ქართული როგორც მეორე ენა

სამხრეთული ყოფა

II თავი

უცხო ქორწილი

დასაწყისი იხ. №17

29 იანვარი. გაყინული, მაგრამ მზიანი დილა. დღეს პირველად ვიყავი სომხურ ქორწილში, მაგრამ ვიდრე მთელი ამ ამბის მოყოლას შევუდგები, გეტყვით, რომ ამ ოთხი თვის მანძილზე, რაც ჯავახეთში ვარ, სულ ვამბობდი, მინდა ქორწილში წასვლა, ძალიან მაინტერესებს-მეთქი და, აი, ეს დღეც დადგა.

სკოლიდან ცოტა ადრე წამოვედი, რადგან პატარძლის დედამ, მათი ტრადიციების სანახავად, 2 საათზე დამიბარა. მე კი მონესრიგება მჭირდებოდა. დირექტორმა გამათავისუფლა. სახლში მისვლისთანავე მომზადება დავიწყე. მე ხომ პირველად მივდიოდი ისეთ დიდ დღესასწაულზე, რომელსაც ქორწილი ჰქვია. თან უცხო, არაქართული ტრადიციები უნდა მენახა. ცოტა რამ ისეც მსმენია მათი განსხვავებული ქორწილების შესახებ, მაგრამ უკეთ რომ გაიგო ყველაფერი, თანამონაწილე უნდა გახდე. ერთი სიტყვით, ჩემმა დიასახლისმა (სტილისტია) მე და თავისი გოგოები გამოგვპრანჭა, ჩვენ კი თავდაჯერებულნი და კმაყოფილნი გავუდექით გზას პატარძლის სახლისკენ. ჩვენი სახლიდან დანიშნულ პუნქტამდე არც თუ ისე გრძელი გზაა, ამიტომაც მალე მივედით. როცა ოთახში შევედი, რა თქმა უნდა, პირველი დედოფალი მომხვდა თვალში, კარგად გამოიყურებოდა. არ გამომპარვია არც ერთი ჩემ მიმართ ნასროლი მზერა, ყურიც მოვკარი რამდენჯერმე „ვარაცი ახჩიკს“ (ქართველი გოგო). გაგრძელება არ ვიცი, რას ამბობდნენ (ამდენი სომხურიც არ მისწავლია ჯერ :)).

დედოფლის ოთახში უამრავი ახალგაზრდა თუ მოხუცი ირეოდა. შემოდიოდნენ, გადიოდნენ. იყო ფუსფუსი და მოლოდინი. მოლოდინი სიძისა, რომელსაც თავისი სატრფო უნდა „ეყიდა“. პატარძალი ფანჯარასთან იდგა, დრო და დრო ფარდას სწევდა, ამოწმებდა, მოვიდა თუ არა მისი საქმრო. მალე მოგვესმა ბოლო ხმაზე საკრავების ხმა. კარი ფართოდ გაიღო და ოთახში თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი სიძე შემოვიდა. მე, რა თქმა უნდა, სურათების გადასაღებად მოვემზადე, აპარატი მოვიმარჯვე და შესაბამისი ადგილის ძებნა დავიწყე, რომ კარგად გადამეღო. თუმცა ოთახში, მოხერხებული კი არა, ნემსის ჩასაგდები ადგილი აღარ იყო. მაინც ვიმარჯვე, უზარმაზარი ტახტის უკანა მხარეს შევძვერი და იქიდან დავიწყე ჩხაკა-ჩხუკი.

პირველი, რამაც გამაოცა, იყო ის, რომ სიძეს დედოფლის და წინ დაუდგა, არ მიუშვა დასთან, ვიდრე ამ თეთრებში გამოწყობილმა „რაინდმა“ ჯიბიდან ფული არ ამოიღო. მე გაფართოებული თვალებით ვუყურებ და ვერ გამიგია, რატომ სთავაზობს სიძე სხვადასხვა კუპიურებს დედოფლის დას. ეს პროცესი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. პატარძლის და ამბობს „ქიჩ“ (ცოტაა) და არ იღებს სიძისგან ფულს. ბოლოს, როგორც იქნა, დათანხმდა, თუმცა ზუსტად ვერ დავინახე, რამდენად მოახერხა სატრფოს „ყიდვა“. ასევე ვნახე „ჩექმის დამალვის“ ტრადიცია. ისიც ფულით გამოსასყიდი აღმოჩნდა.

ჯერი ჯვრისწერაზე მიდგა. გოგოებმა – ჩვენც უნდა წავიდეთო. ეზოში გამოვედით, სადაც ისევ გაისმა საკრავების ხმა და ერთი იქაც, შემორჩენილ თოვლზე, წაუცეკვა სიძე-პატარძალმა. ეზოდან რომ გავდიოდით, თვალში მომხვდა ბავშვი, რომელსაც ხელში ქათამი და მამალი ეჭირა. ვიფიქრე, ესეც ტრადიციაა-მეთქი (სწორადაც ვიფიქრე).

ჯვრისწერა ნინოწმინდის სომხურ ეკლესიაში იყო. ძალიან მეუცნაურა ყველაფერი. თითქმის არაფრით ჰგავს ქართულ ეკლესიას. მართალია, ისინიც ქრისტიანები არიან, თუმცა გრიგორიანელები, მაგრამ არ მეგონა, ამხელა განსხვავება თუ იყო. ხატები, შიდა ინტერიერი, მღვდლის დამოკიდებულება, ყველაფერი უცხო იყო ჩემთვის და დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი იქაურობას. ჯვრისწერა რომ მორჩა და ეკლესიიდან გამოვიდნენ, მტრედები ააფრინეს. საკმაოდ ლამაზად გადავიღე. ამის შემდეგ დედოფლის სახლში დავბრუნდით, ვინაიდან რესტორანში 6 საათზე უნდა მივსულიყავით, ჩვენს წასაყვანად ავტობუსი მოვიდა. მაგრამ ავტობუსსაც გააჩნია. გულწრფელი სიცილი ამიტყდა, თან ხმამაღლა, როცა უძველესი, ლურჯი, ცხვირიანი ავტობუსისკენ მიმითითეს, აქ ადიო. არ მახსოვს, ბოლოს ასეთი როდის ვნახე. ავედი, ჩემდა გასაოცრად ყველა სკამი დაკავებული აღმოჩნდა, ჩემმა მოსწავლემ ადგილი დამითმო და დავჯექი. მაგრამ ვაი ამ დაჯდომას, ისე მიჯანჯღარებდა ეს „საუკუნის ტრანსპორტი“ სოფლის გზაზე, რომ მოსაჭიდს ვეძებდი თავის დასამაგრებლად. ბოლოს ჩემს დიასახლისს ჩავებღაუჭე. ავტობუსში ბევრი ვიცინეთ, ჯერ იმაზე, თუ სად იპოვეს ესოდენ მივიწყებული ცხვირიანი ავტობუსი და მერე იმაზე, რომ რაიონის ყველაზე პრესტიჟულ რესტორანში ამ დიდებული ცხვირათი მივიდოდით.

რაიონამდე ჩვენი სოფლიდან 10 წუთიც არაა მგონი, მალევე მივედით რესტორანში. არ აჭარბებდნენ მისი აღწერისას, მართლაც საუცხოო აღმოჩნდა იქაურობა. ჰოო, სუფრა მართალია ლამაზად იყო მორთული, მაგრამ საჭმლის სიმციერე აშკარად თვალში მომხვდა. სულ ტკბილი და ხილი ეწყო. ქართულ სუფრაზე თეფში თეფშზე დევს, აქ კი მთელ-მთელ გოჭებს ჩაატევდით იმხელა ინტერვალები იყო თეფშთა შორის. თამადა, ჩვენთან რომ ოჯახის ნათესავი, მეგობარი ან ვინმეა, ასე არაა. ის აქ დაქირავებულია, ხოლო სადღეგრძელოებში მოსახსენიებელი სახელები ფურცელზე უწერია. ამბობს სადღეგრძელოს და კითხულობს, ვის ეძღვნება. რაც მართლა მომწონს ამ ხალხის, არის ის, რომ განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ყველა ცეკვავს, მხიარულობს და დროს ატარებს. ვინაიდან სიმღერა სიმღერაზეა მიბმული, ვერც კი ასწრებენ სუფრასთან დაჯდომას. გაუჩერებლად ცეკვავენ. სასიამოვნო სიახლე აღმოვაჩინე რესტორანში – კედელზე დამაგრებულ დიდ ეკრანზე სკაიპი იყო ჩართული და, დარბაზში დაყენებული კამერით, დედოფლის ბებია რუსეთიდან გვადევნებდა თვალს.

უამრავ სომხურ სიმღერაზე ვიცეკვე, თან სომხურად, არადა ისე მერიდებოდა, რამდენი წყვილი თვალი მიყურებდა, არ ვიცი. მე ხომ 250-კაციან ქორწილში ერთადერთი ქართველი ვიყავი. მგონი, კმაყოფილები იყვნენ ჩემი სომხური ცეკვით. მაგრამ ყველაზე სევდიანი და ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა გამოაცხადეს „ვარაცერენ პარენ“ (ქართული ცეკვა). სულ მუხლები ამიკანკალდა, ისე მინდოდა მეცეკვა, ისე მინდოდა ჩემი ქართველობის გამოჩენა, გული ამიჩქარდა. სიმწრით ვუთხარი გოგოებს: ეხ, რა დროს არ ვიცი ქართული ცეკვა-მეთქი.

თამადამ თამაშის დაწყება მიკროფონით გამოაცხადა. მოხალისეები დარბაზის შუაგულში ერთმანეთზე ზურგით მიდგმულ სკამებზე დასვა. რასაც თამადა დაასახელებდა, ის ნივთი უნდა მოეპოვებინათ მონაწილეებს, ვინც პირველი მოახერხებდა, გამარჯვებულიც ის გახდებოდა. ამიტომაც ბიჭები თავს არ იზოგავდნენ. მოიპოვეს ქამარი, საათი და ჯერი სიძის წინდაზე მიდგა. ამან მართლა გამაოგნა, მივარდნენ სიძეს და წინდები ისე სწრაფად გახადეს, თვალი ძლივს მოვკარი. ორივემ მოახერხა, მაგრამ ერთ-ერთმა იმარჯვა, მეორეს მოასწრო და გაიმარჯვა (პრიზი არ მახსოვს, რა გადასცეს). კიდევ იყო ამის მსგავსი წახალისებები, რომელთა ცქერითაც გულიანად გავერთე.

საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა მხიარულება და დრო მოვიდა დედოფალს თაიგული ესროლა, მაგრამ ამას მთლად სროლას ვერ დავარქმევთ. მას ხელში თაიგული ეჭირა, რომელსაც რამდენიმე თეთრი ლენტი მოაბეს, ხოლო ლენტის ბოლოები გასათხოვარ გოგოებს დააჭერინეს. ცოტა ხანში, დედოფალმა თაიგულიანი ხელი ნელ-ნელა ზემოთ ასწია და როგორღაც ერთ-ერთ ლენტზე მობმული თაიგული ახლაგაზრდა გოგოს შერჩა ხელში. ამ პროცესში სიძე არ მონაწილეობდა – ის ცალკე დააყენეს, ისე როგორც ჩვენთან დედოფალი დგება,ზურგს აქცევს ახალგაზრდებს და უკან ისვრის თაიგულს. აქ კი სიძეს (მე მის წინ ვიდექი და დავინახე) ერთ ხელში წყლით სავსე ჭიქა, ხოლო მეორეში ვაშლი ეჭირა. ხუთამდე დაითვალეს. უკან მდგომ ბიჭებს ეგონათ, სიძე ვაშლს ისროდა, მან კი წყლით სავსე ჭიქა მოიქნია და ბიჭები გაწუწა. მესამე ცდაზე სიძემ ვაშლი ისროლა, ერთ-ერთმა იღბლიანმა დაიჭირა (იღბლიანი იმიტომ, რომ მთელ რესტორანში ყველაზე მაღალი იყო, დაახლოებით 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი).

მომქანცველი, შეუსვენებელი ცეკვების შემდეგ ცოტა ხანს ჩამოვჯექი დასასვენებლად, მაგრამ ვინ გაცადა, ხან ვინ მოდიოდა – რიტაჯან იცეკვეო და ხან ვინ. შალახოზე სულ გადავირიე, თავი არ დავზოგე და ზედიზედ მგონი 3-ჯერ ვიცეკვე. ჰო, კიდევ ის არ მომეწონა, რომ რუსულისა და სომხურის გარდა მუსიკას არ გაუჭაჭანებია. არა, თუმცა გატყუებთ, ერთი მომენტი სამზარეულოში გავედი, წყლის დასალევად, ამ დროს მომესმა „ვარაცერენ“ – ჭიქა არც გამომირთმევია ოფიციანტისთვის, დარბაზში შევვარდი. გულზე მალამოდ მომედო, თუმცა სომხური აქცენტით, მაგრამ მაინც ქართული სიტყვები „პატარა გოგოს სიყვარული ოხ, რა ძნელია“. ჩემმა დიასახლისმა და გოგოებმა სიცილით შემომხედეს და მითხრეს, აი, შენი ქართულიო. მე თავდაჯერებულად გავუღიმე.

ღამის პირველ საათზე დასრულდა ქორწილი და გზას დიდი ხანჩალისკენ, უკვე ნაცნობი, ცხვირიანი ავტობუსით გავუდექით.

ერთი სიტყვით, დღეს ბევრი საინტერესო რამ ვნახე, ზოგი გადმოვეცი, თქვენ განსაჯეთ როგორ,ზოგი შეიძლება გამომრჩა კიდეც, მაგრამ ძირითადი აქაა. ასეთი იყო ჩემი დღევანდელი, პირველი დღე სომხურ ქორწილში, პირველად სომხური ვარცხნილობით :)))) წინ კიდევ 2 ქორწილი მელოდება...

29.01.2014

III თავი

ნახევარი წელი

ჩემი ცხოვრების ეს ეტაპი ჩვეულებრივად არც დაწყებულა და არც გაგრძელებულა. 15 მარტს დიდ ხანჩალში ყოფნის ნახევარი წელი შემისრულდა. ვერავის დავაჯერებ, რომ აქ ცხოვრება მარტივია, მაგრამ არც გაუსაძლისია. მით უმეტეს, როცა უკვე ბევრ რამეს სწავლობ, ითვისებ სხვა ხალხის ტრადიციებსა თუ კულტურას. ენაც ასე თუ ისე გესმის და შენდამი კეთილგანწყობილ ადამიანებსაც უწილადებ კუთვნილ სითბოს. თუნდაც დღის დასაწყისში „გამარჯობით“, დასასრულს კი „ნახვამდის“ მათ ენაზე თქმით. ხშირად მათგან (უფროსებს ვგულისხმობ) მობრუნებული ქართული სალამი ტანში ჟრუანტელს მგვრის, მიხარია და თვალები მიბრწყინავს. დღე ასე უფრო სასიამოვნოდ იწყება.

მოსწავლეებთან ურთიერთობა მთელი ისტორიაა. ყოველი ბავშვი ინდივიდუალურია, მათთან მიდგომის ხერხებში გამოუცდელს, ცოტა არ იყოს, თავიდან მეშინოდა, არ ვიცოდი, რამდენად გავართმევდი თავს ამ საპასუხისმგებლო საქმიანობას, თუმცა ამ დროის გადმოსახედიდან ვგრძნობ, ძალიან ცუდად არ გამომდის. ყოველ დასვენებაზე უმცროსკლასელთა მოვარდნა და ჩემთან ჩახუტება თბილი ემოციებით მავსებს. 8 მარტთან დაკავშირებით, პაწაწინა ხელებით გაკეთებული ბევრი ლამაზი მოსალოცი ბარათი მივიღე. გაუმართავი ქართულით დაწერილი წინადადებები, რომელშიც საოცარი სიყვარული და სითბო იყო ჩაქსოვილი. მოსწავლის ნაჩუქარმა მინდვრის ყვავილებმა სასიამოვნოდ გამაკვირვა. მაშინ, როცა თითქმის მთელი საქართველო გრძნობს გაზაფხულის დადგმას, ხეების აყვავებას და მიწის რბილ სურნელს, აქ, ჩემთან ჯერ ადრეა... ამიტომაც გამოცა ამ პაწაწინა, მოვარდისფრო, ნაზი ყვავილების ნახვამ. ახლაც ჩემს ოთახში, სამუშაო მაგიდას ამშვენებენ. როგორ მინდა, დიდხანს არ დაჭკნეს, მაგრამ უკვე დროა... და გული მწყდება. თუმც, თავს იმით ვიმშვიდებ, რომ როცა აქ გაზაფხული დადგება, უამრავ ლამაზ, აქამდე უნახავ და საინტერესო ყვავილს „გავიცნობ“! ეგ კი არა, მითხრეს, მეზობელ სოფელში „ყვავილების ფესტივალი“ იმართება და მთელი სოფელი ზეიმობს ამ დღესო. თურმე მხოლოდ ამ სოფელში ყვავის განსხვავებული, საოცრად ლამაზი ყვავილები. ამიტომაც, ცოტა ადრე, მაგრამ უკვე მიწვეული ვარ დღესასწაულზე. ერთი სული მაქვს ვიხილო, რა ყვავილებია და როგორ აღნიშნავენ ამ დღეს.

ზუსტად 3 თვე დამრჩა და პროექტს დავასრულებ. ძვლამდე დასული სიცივის გარდა, ვიცი, აქედან უამრავი სითბო და სიყვარული გამყვება. გამყვება ჩემი ბავშვების აციმციმებული თვალები და ბოლო დღის სევდიანი მზერა. გამყვება დიდი გამოცდილება და ხანგრძლივი მონატრება. გამყვება ჯავახეთის დილის ცის უჩვეულო ფერები და საღამოს მზის ჩასვლის ულამაზესი სურათი. ახლა, ამ წუთას ყველა ჩემიანი, ჩემი სახლი, ჩემი ოთახი, ყველა ნივთი მენატრება, თუმცა ვიცი მათ მალე დავუბრუნდები, მაგრამ აქაურობას ამ მისიით და ამდენი ხნით – აღარასოდეს. ამიტომაც, ზუსტად ვიცი, მარადიული მონატრება გამყვება თან, რომელიც ხშირად გამახსენებს ჩემი ცხოვრების ყველაზე უჩვეულო ყოფას, ყველაზე გამომცდელ და საინტერესო პერიოდს.

15.03.2014

რიტიკო შუბითიძე

ქართული როგორც მეორე ენა

ჩემი სამცხე-ჯავახეთი, ანუ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“

III სერია

სახლში მისულს კართან პატარა ვარდისფერი ქოშები რომ დამხვდა, ვიფიქრე, ვინმე ნათესავი ესტუმრა ოჯახს და თან პატარა გოგონა მოიყოლა-მეთქი. სამზარეულოში შესულს კი, აი, რა სურათი წარმომიდგა: სხედან სუფრასთან ჩემი ექვსი წლის მასპინძელი ნაპოლეონი და მის მოპირდაპირედ – ხუთი წლის ლამაზი გოგონა. ჩემს დანახვაზე ნაპოლეონი დგება და სკამს მთავაზობს, ხოლო გოგონა თვალით ანიშნებს – ნინოს ჩემი თავი წარუდგინეო.

– ეს სუსანაა, ჩემი მეგობარია. – წარმიდგენს სტუმარს პატარა ნაპოლეონი და კანფეტს გემრიელად ჩააკნატუნებს.

პატარა სტუმარ-მასპინძელს ოჯახის დიასახლისი ემსახურება და სუფრაზე ნაირ-ნაირ ტკბილეულს ალაგებს.

– მე ყავის მოდუღება შემიძლია! – მესმის უეცრად სუსანას ხმა.

– მე შემიძლია დავწერო ერთიანი, ორიანი და სამიანი... სექტემბერში სკოლაში მივდივარ!

– აჰა! – ვამბობ და თავს დინჯად ვაქნევ, შემდეგ კი ნაპოლეონის ქება-დიდებას ვიწყებ და სუსანაც ყურადღებით მისმენს:

– აი, ამ სამზარეულოში, კედლებზე, რა წარწერებიცაა გაკრული, სულ ნაპოლეონის დაწერილია!

სუსანა პატივისცემით ავლებს თვალს ნაპოლეონის მიერ დაწერილ და სამზარეულოს კედლებზე წარმატებით გაკრულ ცალკეულ ქართულ ასოებსა და ქართულ სიტყვებს და ნელ-ნელა რწმუნდება, რომ მისი რჩეული ამ სოფელში ყველაზე ჭკვიანი ბიჭუნაა და თვალებს სიამოვნებით ნაბავს. მერე ყურზე ხელით ისწორებს ვერცხლისფერ საყურეს (ვინიცობაა, სხვაგვარად ვერ შემნიშნონ, ყურები რომ მაქვს გახვრეტილიო) და შემდეგ ისევ პირის ჩატკბარუნებას განაგრძობს.

– ნინო, იცი, ჩვენ უკვე ნაყინი ვჭამეთ! – ამაყად აცხადებს ნაპალიკი.

– დიახ, დიახ, უკვე მაისია და შეიძლება! – უდასტურებს გოგონა.

– ნინომ გაზეთში სტატია დაწერა და ჩემი სურათიც გამოაქვეყნა! – ამაყად ამბობს ნაპოლეონი და სუსანას „ახალი განათლების“ ბოლო ნომერს შემოურბენინებს.

– ოოო, რა მაგარია! ეს მართლა შენ ხარ, ნაპალიკ? ეს ვისი ჩოჩორია?

– ჩვენი მეზობლის!

– იცის შენმა მეზობელმა, მისი ჩოჩორი რომ გაზეთში დაბეჭდეს?

– არა, დღეს უნდა ვაჩვენოთ! – ამაყად ამბობს ნაპოლეონი და პერანგს ისწორებს.

– წამო, წამო, ერთად ვაჩვენოთ! როგორ გაუხარდება?!

– ვის, მეზობელს თუ ჩოჩორს? – სიცილით ამბობს ნაპოლეონი, გაბრაზებული სუსანა კი მუშტებს უშენს და ორივენი სიცილ-კისკისითა და გაზეთის ფრიალით გარბიან გარეთ.

მეორე დღეს კი თეთრ პერანგსა და ჯინსის „საგარეო“ შარვალში გამოწყობილი ნაპოლეონი მოთმინებით ელოდება გამოპრანჭული სუსანას გამოჩენას, რომელიც დედიკომ საგანგებოდ გამოაწყო ფოტოსესიისათვის. ძალიან უნდათ, მათი ფოტოებიც დაიბეჭდოს გაზეთში და ღირსეულად წარდგნენ „ახალი განათლების“ მკითხველის წინაშე. სოფელშიც თავი ექნებათ მოსაწონი, პირველ სექტემბერს მასწავლებლებს აჩვენებენ და ახალ კლასელებს. წარმოიდგინეთ, რამხელა მოვლენაა, ჯერ სკოლაშიც არ შესულან და მათ უკვე გაზეთში ბეჭდავენ!

ფოტოსესიისთვის მზადება დილიდანვე იწყება: ნაპოლეონის დედა ტკბილეულს ამზადებს სტუმრების მისაღებად, მე ეზოს შემოგარენში ფოტოგრაფიისათვის ხელსაყრელ ადგილებს ვარჩევ, ნაპოლეონი თავს ძალიან ამაყად გრძნობს. შუადღის სამ საათზე ფოტოსესიაც დაიწყო: სოფლის ორღობეებში, სახლზე მიდგმული კიბის საფეხურებზე, ძლივს გამწვანებულ ჯავახურ მინდვრებზე და ჩემი მასპინძლების სახლის ეზოში. გახარებული ბავშვები გადაღებულ ფოტოებს ხალისით ათვალიერებენ და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ქართული სიტყვა თქვან, რომ თავი მოიწონონ ჩემთან. ამასობაში კი, კარი იღება და ბავშვების მხიარული შეძახილი მოისმის: *მასწავლებელი ნინო! მასწავლებელი ნინო! მოვედით, მოვედით!*

კართან გასულს უცნაურ ლურჯ საწვიმარში გამოწყობილი, მხარზე ანკესგადებული ბიჭუნები: აღასი და ალბერტი და მეექვსეკლასელი გოგონები მხვდებიან. გოგონებს ხელში პატარა სათლები უჭირავთ და შიგნით სარეცხი უწყვიათ. მახსენდება, რომ დღეს ფილმის გადაღება გვაქვს დაგეგმილი – „თევზაობის“ მეორე სერიას ვიღებთ, რა თქმა უნდა, ქართულ ენაზე. ამ ფილმის სცენარიც ერთად გვაქვს დაწერილი და გაგრძელებასაც გზადაგზა ერთად ვიფიქრებთ.

– სიტყვები გაიმეორეთ? – ვეკითხები გოგო-ბიჭებს.

– კი, კი! – მიდასტურებენ ბავშვები და მხიარულად მივიწევთ წინ, ვიდეოაპარატურითა და გადაღებისთვის საჭირო ნივთებით აღჭურვილები.

ფილმისათვის დაწერილი დიალოგები სავსებით უბრალოა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ფრაზეოლოგიას მოიცავს: აქტიურად ვიყენებთ სოფლის ცხოვრებისათვის დამახასიათებელ გამონათქვამებს, მხიარულ გადაძახილ-გადმოძახილებს და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ რიგ სიტუაციურ დიალოგებს. ფილმების მონტაჟიც ერთობლივად იგეგმება და მთელი ეს სახალისო სამუშაო პროცესი ქართულ ენაზე მიმდინარეობს, რაც ქართული ენისადმი განსაკუთრებულ პოზიტიურ დამოკიდებულებასა და მისი შესწავლის მოტივაციას საგრძნობლად ამაღლებს. და მე კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ სიყვარულს შეუძლებელიც შეუძლია და ის დედამიწას მართლაც ატრიალებს!

ნინო ლარცულიანი
ნინოწმინდის რაიონის სოფელ დიდი არაგიალის მოხალისე მასწავლებელი

მე მტკივა 24 აპრილი...

სირარფი ზაქარიან
დიდი არაგიალის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

24 აპრილია, ადამიანების ზღვა მიდის წიწერნაკაბერდში, სადაც დგას გენოციდის დროს გარდაცვლილ ადამიანთა საპატივცემულოდ აღმართული მემორიალი. უკვე ასი წელი გავიდა იმ მძიმე დღიდან, როდესაც ჩვენმა ერმა ორ მილიონამდე ადამიანი დაკარგა. იმ ტრაგედიას გადარჩენილმა ადამიანებმა კი სხვადასხვა ქვეყნებს შეაფარეს თავი. ჩვენი ისტორიული მიწის ერთი მეათედი უდაბნოს ტრამალებს დაემსგავსა...

24 აპრილია, მემორიალი ყვავილებით იმკობა... მდუმარედ ავდივარ მემორიალისკენ მიმავალ კიბეებზე და ვაკვირდები ხალხს, რომელიც დღეს აქაა მოსული: ახალგაზრდები, მოხუცები, ბავშვები... სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული ადამიანები, რომლებიც ამ დღეს გარდაცვლილთა პატივის მისაგებად მოსულან. დარწმუნებული ვარ, ვიდრე იარსებებს სომეხი ერი, მანამდე ეს დღე იქნება მის მეხსიერებაში, ხოლო ამ მემორიალის ირგვლივ მუდამ ყვავილები დაეფინება.

ადამიანის ენა ვერ აღწერს იმ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ერს ერთი საუკუნის წინ, 24 აპრილს. ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები, არც საზოგადო მოღვაწენი, არც მწერლები, უბრალოდ ამ ერის შვილები ვართ და გვინდა ჩვენი ხმა ყველამ ისმინოს: ჩვენ არ გვინდა კონფლიქტი და მტრობა, ჩვენ გვსურს, კარგი ურთიერთობა გვქონდეს ყველა მეზობელ ერთან. გვინდა, ჩვენი ტრადიციებითა და ღირებულებებით ვიცხოვროთ. ჩვენ ქრისტიანები ვართ და ჩვენი რელიგია ჰუმანურობასა და სიყვარულს გვასწავლის. და ვფიქრობ, სწორედ ეს ჰუმანურობა და სიყვარული უნდა იქცეს ჩვენი და მეზობელი ერების ურთიერთობის საფუძვლად. მე მტკივა 24 აპრილი... მაგრამ ამ ტკივილთან ერთად მაქვს რწმენა ბედნიერი მომავლისა.

(ტექსტი დაიწერა სომხურ ენაზე და მასწავლებლის დახმარებით ითარგმნა ქართულად)

სასკოლო აქტივობა

მითიური წარსული, ღირსეული აწმყო

თქვენ უკვე იცნობთ ლახამულის საჯარო სკოლას, რომელსაც საინტერესო წარსული აქვს და დღესაც ღირსეულად მიჰყვება წინაპართა გაკვალულ გზას.

ჩვენი სკოლა ერთ-ერთი მცირეკონტინგენტიანი სკოლაა ზემო სვანეთში და, მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებს მოკრძალებული სიტყვის თქმასა და თავის გამოჩენას სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ კონკურსებში.

სამწუხაროდ საშობაო არდადეგები უდიდესი ტკივილით დამთავრდა – 17 იანვარს ტრაგიკულად გარდაგვეცვალა მესამე კლასის მოსწავლე ლევან ჭკადუა. ეს უდიდესი ტრაგედია იყო და იქნება ჩვენი სკოლის ისტორიაში. საოცრად თბილი, მოსიყვარულე, სიცოცხლით სავსე ბიჭუნა ყველას ერთიანად დაგვაკლდა და როგორც პედკოლექტივის, ასევე მოსწავლეების გულებში ენით აუწერელი ტკივილი დატოვა. ჯერ კიდევ პატარა ლევანს ვგლოვობდით, როცა მამიდამისი, სამეურვეო საბჭოს წევრი, ჩვენი ორი მოსწავლის დედა, სასკოლო მუშაობაში აქტიურად ჩართული მაია (მაკა) ჭკადუა, 14 თებერვალს, 39 წლის ასაკში, გარდაიცვალა. ის ნამდვილად გმირულად ებრძოდა მწვავე ლეიკემიას შვიდი წლის მანძილზე და ძმისშვილის გარდაცვალებამ მისი მდგომარეობა უკონტროლო გახადა... წარმოიდგინეთ, ყოველივე ეს სოფლის პატარა სკოლისთვის და თვით სოფლისთვის როგორი გადასატანი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვიან, მაგრამ მაინც ჩავერთეთ კულტურის სამინისტროს კონკურსში „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“. სკოლიდან შვიდი ნამუშევარი გამოვაგზავნეთ, მათგან ოთხი გამარჯვებულთა შორისაა: 1. **ოქროს მოპოვება – ანრი დავითიანი, ლუკა კვირიკაძე, ბაჩუკი ჭკადუა**, ხელმძღვანელი – **მარიჯან ჭკადუა**; 2. **ჭედვა – ბეთქილ** და **ლექსო ჭკადუები**, ხელმძღვანელი – **ლალი მარგიანი**; 3. კირის მოპოვება – **ლუკა** და **დავით კვირიკაძეები**, **მარიკა დავითიანი**, ხელმძღვანელი – **ირმა გურჩიანი**; 4. სვანური ხალხური საკრავები – **ბეთქილ** და **ლექსო ჭკადუები**, ხელმძღვანელი – **ლალი მარგიანი**.

რამდენიმე ათეული წელია, ჩვენს სკოლაში **ლუარა სარიშვილი** ასწავლის, რომლისთვისაც ლახამულა მეორე სახლად ქცეულა. ჩვენმა მოსწავლეებმა მოაწყვეს აქცია „მადლი“, რომელიც ქალბატონ ლუარას მიუძღვნეს და საყვარელი მასწავლებელი შეშით მოამარაგეს...

14 აპრილს სკოლაში ჩავატარეთ შიდასასკოლო ღონისძიება – „მამული, ენა, სარწმუნოება“, რომელიც მიეძღვნა 9 აპრილის ტრაგედიას და დედა ენის დღეს. ღონისძიების მომზადებაში სკოლის ყველა მასწავლებელი მონაწილეობდა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს სიმღერები. მათ მიესალმა და ქართული ენის მნიშვნელობაზე ისაუბრა სკოლის დირექტორმა, ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელმა **ნაზი საბანიძემ**.

მონაწილეობა მივიღეთ ნატოს საინფორმაციო სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ჩემი ევროპული მომავალი“.

სვანეთის საეკლესიო საზოგადოების კავშირმა „ლაგუშედა“, მესტიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურებმა და მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო (სამსაფეხურიან) სკოლებში შიდა სასკოლო კონკურსი გამოაცხადეს, რომლის მიზანი იყო სვანეთის ტერიტორიაზე არსებული, დღემდე შეუსწავლელი და აღურიცხავი კულტურულ-მატერიალური ძეგლების (ნაკოშკარი, ნატაძრალი, ხატი, ხელნაწერი თუ სხვა რამ საგანი, მითი, ლეგენდა, გადმოცემა და ა.შ.) გამომზეურება, აღრიცხვა და პუბლიკაცია, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის სვანეთის ისტორიულ, კულტურულ და ლიტერატურულ საგანძურს.

მართალია, კონკურსი მხოლოდ სამსაფეხურიან სკოლებს ეხებოდა, მაგრამ მონაწილეობის სურვილი ჩვენც გამოვთქვით, რადგან ლახამულის ტერიტორიაზე ისეთი ადგილებია, რომლებთანაც დაკავშირებულია საინტერესო გადმოცემები. შევარჩიეთ თემა და სოფლის უხუცესი ქალბატონის, **მაინო საბანიძისგან VI** კლასის მოსწავლეებმა: **ლექსო ჭკადუამ** და **დავით კვირიკაძემ** ჩაიწერეს უდეშდის (ადგილია ლახამულის ტერიტორიაზე) ისტორია, ხოლო სპორტის მასწავლებელმა **მაცი ჭკადუამ**, სოფლის ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად, მოამზადა ფოტო და ვიდეომასალა. მოვამზადეთ მხატვრული ნომრები, რომელიც 26 აპრილს, სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლაში, ჩვენმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს. გავაკეთეთ კედლის გაზეთის სპეცნომერი „უფალო ადიდე ხევი სვანეთისა და ერთობილი საქართველო“... როგორც მოხალისე კონკურსანტებს, უპირობოდ გადმოგვეცა პირველი ხარისხის დიპლომი და სპეციალური პრიზი „ლაგუშედას“ ლოგოთი.

მართალია, სასწავლო წლის დასრულებამდე ცოტა დრო რჩება, მაგრამ ჩვენ დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე საინტერესო ღონისძიება, რომელთა შესახებ კვლავ მოგაწვდით ინფორმაციას.

* * *

ამბობენ, როცა ლახამულას კუჭ აფხაზი შემოესია, „ჯგრააგ ბოგაშიდან“ ცეცხლის ალი გადმოსულა, სოფლისთვის განსაცდელი უცნობებია და მტერი გაუნადგურებიათ, მაგრამ ერთმა დაჭრილმა მოახერხა მიმალვა და ტყე-ტყე ჰაპკვირის მთით მოახერხა უდეშდში გადასვლა. უდეშდი ლახამულის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, ხუმფრერის ხეობაში, ცენტრალური გზიდან 15 კმ-ზე.

უფროსების გადმოცემით, იმ დროს უდეშდში ცხოვრობდა ვინმე როზანი – კაცი ძლიერი ძალითა და ქონებით. მას საკუთარი კოშკი და ეკლესიაც ჰქონია. მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მტერიც არ აკლდა, რადგან სულ ფრთხილობდა (ამაზე მეტყველებს თავდაცვითი ნაგებობა – კოშკი). ჰყავდა ძაღლი „ყურჩა“, რომელიც შიშის ზარს სცემდა მიახლოებულ სულიერს. თავად როზანი კი თავს იმ არე-მარის პატრონად თვლიდა და მონადირეებს ბეგრავდა. თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, ძაღლს დაადევნებდა და მონადირე იძულებული ხდებოდა წილი დაეტოვებინა.

იმ შემოსევის შედეგად გადარჩენილი კუჭი როზანთან მოხვდა. ოჯახმა შეიფარა დაჭრილი და მოუარა. კუჭი მასპინძელთა ყველა თვისებას, ზნე-ჩვეულებას აკვირდებოდა. ენაც კი ისწავლა, მის გულში ვერაგული ჩანაფიქრი მწიფდებოდა. გამოჯანმრთელებულს როზანმა ცხენი აჩუქა და შინ გაამგზავრა. სულ მალე, იგი თანამზრახველებთან ერთად დაბრუნდა. „ყურჩა“ ცნობდა კუჭს და არ გასჭირვებია ძაღლის გატყუება და მოკვლა. მოკლული ძაღლი ყანაში ჩაფლეს.

ძაღლის დაკარგვამ როზანი ასმაგად ფრთხილი გახადა. მუდმივად კოშკში იჯდა და მიდამოს ზვერავდა. გაგანია ხვნის დროსაც კი არ ჩამოდიოდა კოშკიდან და მითითებებს იქიდან იძლეოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე კუჭი მოთმინებით ელოდა როზანის ძირს ჩამოსვლას. ბოლოს ეს წუთიც დადგა. როზანის მითითებებით გაბეზრებულმა ოჯახის წევრებმა საყვედურით მიმართეს: ჩვენ ვმუშაობთ და შენ კოშკში ჯდომაში ატარებ დროსო. ამით მტრის წისქვილზე დაასხეს წყალი. როზანმა უთხრა: მე კი ჩამოვალ, მაგრამ თუ რამე მოხდა, თქვენ თავს დააბრალეთო. თითქოს გულმა უგრძნო უბედურების მოახლოება... ხვნის დროს სახნისმა ძაღლის ლეში ამოაგდო და ამით მიხვდა როზანი, რომ ღალატს ჰქონდა ადგილი... ხვნას თავი ანება და კოშკისკენ გაიქცა, მაგრამ ჩასაფრებულმა კუჭმა ტყვია ზურგიდან დაახალა... როზანი რომ ამ დღეში იხილეს, ოჯახი აირია, მტერმაც საფარი დატოვა და ცოცხლებს დაერია.

კუჭი მაჩუბში შევარდა, კერიაზე ფაფა ბუყბუყებდა და დამცინავად გამოაჯავრა: ფუყ-ფუყ, ფუყ-ფუყო. თურმე ბავშვები ტახტქვეშ იყვნენ დამალულები, გაეცინათ და კუჭმა მათი სამალავი აღმოაჩინა. ერთი ვერსიით, ამბობენ, ბავშვებიც ამოჟლიტაო, მეორეთი კი – ტყვეებად გაიყოლაო.

კუჭმა და მისმა ყაჩაღებმა როზანის ავლა-დიდება თან წაიღეს. იქაურობა შემუსრილი დარჩა. იმის მერე იქ არავის უცხოვრია.

დღეს იქ მხოლოდ ნანგრევებია...

მთქმელი – მაინო საბანიძე, 94 წლის
ჩაიწერეს – დავით კვირიკაძემ და ლექსო ჭკადუამ
ჩაწერილია ლახამულაში 2014 წლის 12 აპრილს
ხელმძღვანელი – ლალი მარგიანი

სასკოლო აქტივობა

სპექტაკლი სკოლაში

კლასში საოცარი განწყობა დამხვდა. ბავშვები ემოციურად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, ღელავდნენ, თუმცა თვალები ხალისიანად უბრწყინავდათ.

გაკვეთილების შემდეგ სპექტაკლის პრემიერა უნდა გამართულიყო, რომლის სცენარის ავტორი თბილისის 127-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **გვანცა გოგიაშვილი** გახლდათ.

სპექტაკლი „ისევ თავიდან“ ახალგაზრდა რეჟისორის ცხოვრებას გვამცნობს. *„რა რთული ყოფილა სპექტაკლის დადგმა, მუსიკის შერჩევა... არ მეგონა, ამდენ სირთულეს თუ წავაწყდებოდით“* – აღნიშნავს გვანცა.

რა თქმა უნდა, პროექტის ხელმძღვანელი, მე-10 კლასის დამრიგებელი, ქალბატონი **ნინო ხმალაძე** ეხმარებოდა ბავშვებს, მაგრამ მაინც მოსწავლეებმა გადაწყვიტეს ყველაფერი. სპექტაკლს სცენარის ავტორი ერთი ჰყავდა, დამდგმელი რეჟისორი კი მრავალი, თითქმის მთელი მე-10 კლასი.

იდეა სპექტაკლის დადგმის შესახებ თავად მოსწავლეებში დაიბადა. მათ არც თუ იშვიათად უწევდათ ლიტერატურული საღამოების მოწყობა და სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ფრაგმენტების გაცოცხლება. როგორც ჩანს, თეატრისადმი სიყვარული ნელ-ნელა გაღვივდა და გაუჩნდათ სურვილი, თეატრი კულისებიდან შეეგრძნოთ. ყველაზე რთული პიესის შერჩევა აღმოჩნდა. ამ დროს გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ასაკი, ინტერესის სფერო, შესაძლებლობები, სკოლის რესურსი და ბევრი სხვა რამ. ყველასათვის ცნობილ, უკვე ფილმებადქცეულ პიესებთან შეჭიდება თითქოს ვერ გაბედეს.

სწორედ ამ ძიების დროს, თბილისის პირველ გიმნაზიაში, კერძო სკოლა „ლოგოსის“ ინიციატივით, ჩატარდა კონკურსი – „ვწერ თავისუფალ თემას“, რომელშიც ჩვენმა სკოლამაც მიიღო მონაწილეობა. კონკურსში მეათეკლასელმა **გვანცა გოგიაშვილმა** გაიმარჯვა. მისი ესე „ადამიანი, რომელიც თამაშობს“ პოპულარული გახდა სკოლაში. სწორედ ამ ფაქტმა გადაწყვიტა სპექტაკლის ბედი.

აი, რას იხსენებს პროექტის ხელმძღვანელი: *„კლასში დისკუსია მოვაწყვე. ყველას სურდა, პიესა ყოფილიყო თანამედროვე, მუსიკალური და ემოციური. გადაწყდა, გვანცას ჩვენი სპექტაკლისთვის პიესა უნდა დაეწერა. ყველას გვჯეროდა, რომ საუკეთესო გამოსავალი მოვძებნეთ.*

პროექტის ერთ-ერთი რთული ეტაპი როლების შერჩევა-განაწილება იყო, მაგრამ მის დაძლევაში თავად მოსწავლეები დამეხმარნენ. პროფესიონალებივით შეაფასეს საკუთარი შესაძლებლობები. ერთმანეთს გულშემატკივრობდნენ და მთავარი როლის შემსრულებლებიც თავად გამოავლინეს. ისინი კი, ვინც საკუთარი თავი მსახიობად ვერ წარმოიდგინა, სპექტაკლის ტექნიკურ უზრუნველყოფაში გვეხმარებოდა.

პროექტში მონაწილეობდნენ: ***ბერდია ხმალაძე, ბექა ჩოხელი, ნინი ჩინჩრიკი, მარიამ ჯღამაძე, ეკა აბულაშვილი, მარიკა შუბითიძე, ანი გამდლიშვილი, თამარ ჩახუნაშვილი, ელენე მენთეშაშვილი, მარიამ მაღრაძე, პაატა ბაგალიშვილი, ხათუნა მელიქიძე, ლუკა ჩოხელი, თამუნა ჯულაყიძე, დავით კევლიშვილი, ალექსანდრა მიშელაძე, ალექსანდრე მელაშვილი*** და **გვანცა გოგიაშვილი**.

ახლა ყველას რეპეტიციები გვენატრება. საოცარი შეგრძნებაა, როცა ხედავ, თუ როგორ იბმება უხილავი ძაფები მათ შორის. სცენები ერთმანეთს ენაცვლებოდა, ყოველი დღე სავსე იყო იუმორით, ხალისითა და უსაზღვრო მონდომებით.

როგორც დაგეგმილი მქონდა, ერთთვიანი რეპეტიციების შემდეგ, სპექტაკლის პრემიერის თარიღი გამოვაცხადეთ და ცოტა ავნერვიულდით. სპექტაკლის თითოეულ დეტალს განვიცდიდით. „მსახიობების“ შეცდომებზე ვღელავდით და გამოსავალს ვეძებდით.

განათება, მუსიკა, საგანგებოდ შერჩეული კოსტიუმები, რეკვიზიტები... გვინდოდა, ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც თეატრშია. ჩვენ „რეჟისორობანას“, „მსახიობობანას“ და „დიდობანას“ ვთამაშობდით და ეს ძალიან, ძალიან მოგვწონდა.“

და აი, პრემიერის დღეც დადგა. სკოლის წითელი დარბაზი პატარა თეატრად გადაქცეულიყო, ყურადღებას იპყრობდა გულმოდგინედ ჩაბნელებული დარბაზი და წითელი შუქით განათებული სცენა. საგანგებოდ შერჩეული დეკორაციები თბილ და რომანტიკულ განწყობას ქმნიდა. სპექტაკლს უფროსკლასელები, პედაგოგები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, მაყურებლის წინაშე საოცარი ოსტატობით წარდგნენ მოსწავლეები, მშვენივრად მორგებული როლებითა და ნამდვილი, გულწრფელი ემოციით. სტუმრები აღტაცებას ვერ მალავდნენ, წარმატებას უსურვებდნენ მოსწავლეებს და სთხოვდნენ, მომავალში კვლავ გაეოცებინათ მაყურებელი მსგავსი წარმოდგენებით.

სპექტაკლი დასრულდა. მაყურებელს კი დარჩა მე-10 კლასის გულწრფელი მოწოდება, რომ ცხოვრება მშვენიერია და არასდროს არის გვიან, დაიწყო „ისევ თავიდან!“

ლეილა ქარსელაძე
თბილისის №127 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ინფორმაცია

ქართველი მოსწავლეები მსოფლიო სამეცნიერო კონკურსზე გაემგზავრნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი 2013“ გამარჯვებული მოსწავლეები კორპორაცია „ინტელის“ გრანტის მფლობელები გახდნენ და მონაწილეობას მიიღებენ სკოლის მოსწავლეთა მსოფლიოში უდიდეს სამეცნიერო საინჟინრო კონკურსში „ინტელ-აისეფ 2014“ (Intel ISEF), რომლის ფინალური ეტაპი, 2014 წლის მაისში, ლოს-ანჯელესში გაიმართება.

საქართველოდან კონკურსში 4 პროექტია წარდგენილი: „აქტიური ფილტრი“ – **ნიკა ალავიძე** და **დავით ჩხეიძე**, ა. რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლა; „ორთოპედიული ჟილეტი“ – **საბა მამუკაშვილი**, თბილისის №137 საჯარო სკოლა; „გონიერი შუქნიშანი“ – **ნინო ხიმშიაშვილი**, **ბესარიონ ქვაციხელი** და **ზაზა ირემაძე**, ბათუმის საერო ელიტარული საშუალო სკოლა; „ტრანსფორმერი კლეფსიდრონი“ – **თემურ ჩიჩუა**, თბილისის №4 საჯარო სკოლა.

ლოს-ანჯელესის სკოლის მოსწავლეთა მსოფლიო სამეცნიერო საინჟინრო კონკურსი „ინტელ-აისეფ 2014“ (Intel ISEF) ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი კონკურსია, რომელზე მოხვედრა ძალზე პრესტიჟული და ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. კორპორაცია „ინტელის“ დახმარებით, საქართველო პირველად მონაწილეობს კონკურსში, სადაც 150-მდე ქვეყნის ნორჩი გამომგონებლები მოიყრიან თავს.

წიგნი, რომელმაც შეცვალა

„დედამიწამ რა სთქვა“



ლევან დონაძე
თბილისის №52 საჯარო სკოლის
V კლასის მოსწავლე

დედამ რომ „შვლის ნუკრის ნაამბობი“ წამიკითხა ძალიან პატარა ვიყავი. უგულო კაცის ნასროლმა ტყვიამ ნუკრს დედა მოუკლა. ნუკრის საცოდაობამ გული დამწყვიტა და ამატირა... ახლა მეხუთე კლასს ვამთავრებ. დედა და ბებია ხშირად მეუბნებოდნენ, ვაჟა-ფშაველას სხვა მოთხრობებიც წამეკითხა. ქართულის მასწავლებელი – **ლია გეგეშიძეც** ამას გვთხოვდა. მეც მოვინდომე და ვაჟას ერთი მოთხრობის სათაურმა – „დედამიწამ რა სთქვა“ ძალიან დამაინტერესა... კითხვა დავიწყე.

განა რა აქვს სათქმელი დედამიწას? თუ შვლის ნუკრმა ამატირა, ამ მოთხრობამ ძალიან გამაბრაზა ადამიანებზე, დამაფიქრა კიდეც...

დედამიწა ამაყად ამბობს: *„მე ვარ დედა, მშობელი ყველასი, რაც კი თვალით ჩანს თუ არ ჩანს“*. მართლაც ყველას დედაა მიწა, პატარა მწყერისაც, თრითინასიც, რქებგაშლილი ირმისაც და ფაფარაყრილი ლომისაც...

მძიმე ტვირთი ჰკიდია დედამიწას ზურგზე, მაგრამ არც ჩივის და არც ტირის. ყველაფერი უნდა ითმინოს, რომ შვილებმა გაიხარონ. მას ხომ ყველა შვილი ერთნაირად უყვარს, იმიტომ, რომ დედაა. უკვირს დედამიწას: *„ადამიანო, თუ მე დედა ვარ და თქვენ ჩემი შვილები, რატომ არ ცხოვრობთ, როგორც ძმები? რად სტაცებთ ერთიმეორეს პირიდან ლუკმას? რად გაქვთ ათასი ლუკმა ერთს და სხვას ერთიც არა? დაიდე გულზე ხელი, განსაჯე, იფიქრე კარგად და მიპასუხე: შენია ეგ ათასი ლუკმა? შენი ღვაწლი, შენი ამაგია?“*

ჩემია, ჩემი! ყვირი შენ! *„ვინ მოგცა ნება დაეპატრონო მომეტებულს ჩემს ნაწილს, როცა მე ყველას ვეკუთვნი საერთოდ“*.

გამაბრაზა იმან, რომ ბევრი ადამიანი და ბიზნესმენი იმით იმართლებს თავს, – ეს მიწა სიმამრმა, სიდედრმა და სხვებმა მაჩუქესო, ან ვიყიდეო, დოკუმენტით, ბეჭდებითა და ღერბებით შემოწმებულ-დამტკიცებულიაო ძველისძველად. იმასაც ამბობენ, ამაგს, რაც მე ამ მიწაში ჩავდე, ხომ ნუღა იტყვიო.

დედამიწა კი, აი, რას გვთხოვს! – *„გეყო შენც შენი ძმების ჩაგვრა და უნდა დასჯერდე იმ კერძს, რასაც დასჯერდება ათასი და ათიათასი. ჩემი გულისთვის ვინც სისხლი დაღვარეს, ისინი სხვები იყვნენ და შენ სხვა ხარ, შენ აღარც სისხლსა ღვრი და აღარც ოფლს. დაღვარე ოფლი, ოფლი მაინც, რომ გიწამო, მიგიღო ისევ შვილად“*.

დამაფიქრა ძალიან იმან, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე დედამიწა ძლიერ შეიძრა: *„ჯანღი გადიდდა, გასივდა, აირია. ათასნაირი ხმაურობა მოისმოდა იქიდან, ზოგი ტირილი, ზოგი სიცილი. წვიმა იყო თუ ცრემლი მოდიოდა, დედამიწას ასველებდა. მზის სხივი დროებით მიმალულიყო, შავად, როგორც ფისით, გალესილი იყო დედამიწა“...*

იქნებ დროა მოუსმინოთ დედამიწას, იქნებ დროა დავუჯეროთ და გავუგონოთ, თხოვნა შევუსრულოთ! როცა ადამიანი მიწას გულს გადაუთხრის და იქიდან ოქროს, ვერცხლს, ნავთობს და სხვა სიკეთეს ამოიღებს, ნუ დაიჩემებს, – სულ ჩემიაო. დაე, ბევრი თუნდ მისი იყოს, მაგრამ ცოტა გაჭირვებულებს, ავადმყოფებს, მეც, ჩემს მეგობრებსაც უწილადოს. ის ხომ დედამიწისაა, ყველასია! ნუ ყიდით და ყიდულობთ მას! განა დედას ყიდის ან ყიდულობს ვინმე?

სასკოლო აქტივობა

დოკუმენტური ფილმებით სწავლების ეფექტურობა

„ერთი მსოფლიო სკოლებში“ – საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში 2011 წლიდან დაიწყო. პროექტი, ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ მიერ, ჩეხეთის რესპუბლიკაში, 2003 წლიდან მიმდინარეობს და ითვალისწინებს სკოლის მასწავლებლებისათვის უახლესი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე დოკუმენტური ფილმებისა და თემატური სახელმძღვანელოების შეთავაზებას. აღნიშნული პროგრამის დანერგვის მიზნით, თბილისის მასწავლებლის სახლის ორგანიზებით, ორდღიანი ტრენინგი ჩაგვიტარდა ჭიათურისა და საჩხერის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებს. თითოეულ პედაგოგს საინტერესო სახელმძღვანელოები და დოკუმენტური ფილმების დისკები გადმოგვეცა. სახელმძღვანელოებში ამომწურავადაა გადმოცემული პროექტის მიზნები და ამოცანები, ასევე მეთოდები და ხერხები, როგორ გამოვიყენოთ დოკუმენტური ფილმები სასწავლო პროცესში.

პედაგოგების და მოსწავლეებისთვის მივიღეთ საჭირო მასალები ისეთი აქტუალური თემის ღრმად გააზრებისა და შესწავლისათვის, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა. დოკუმენტური ფილმები მოიცავს მრავალფეროვან თემებს: მიგრაცია, შრომითი უფლებები, არადემოკრატიული რეჟიმები, კონფლიქტი, შერიგება, გენდერული საკითხები, ტოლერანტობა და გარემოს დაცვა.

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაშიც ასეთი აზრთა სხვადასხვაობაა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მართლაც რომ აუცილებელია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევების და აქტუალური სოციალური საკითხების შესახებ. დებატების გამართვის შემდეგ, მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნების, საკუთარი შეხედულებების სწორად გადმოცემის უნარი. ასევე გაიზრდება მოსწავლეების ცნობიერება და პასუხისმგელობის გრძნობა იმ გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. მომავალში ახალგაზრდებმა თავიანთი წვლილის შეტანა უნდა შეძლონ არსებული პრობლემის მოგვარებაში როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური მასშტაბით.

ზემოთ აღნიშნულის დადასტურებაა უკვე ჩატარებული გაკვეთილები სოფელ ზოდის საჯარო სკოლაში. დოკუმენტურ ფილმებს ვიყენებთ არა მარტო საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას, არამედ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებშიც. მაგალითად, მე-7კლასის მოსწავლეებთან, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ვაჩვენეთ დკუმენტური ფილმი – „ადამიანი რომელიც ხეებს რგავდა“. ფილმმა მოსწავლეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შევთავაზე, დაეწერათ რეფლექსია და რამდენიმე სიტყვით გამოეხატათ ფილმიდან მიღებული შთაბეჭდილება, ემოცია. ბავშვებმა წამოაყენეს იდეა, გააშენონ ელზეარდ ბუფიეს სახელობის სკვერი, შექმნან ბუკლეტი და ამ გზით გაუწიონ პროპაგანდა ადამიანის შესაძლებლობებს – აკეთონ მხოლოდ ქვეყნისა და ადამიანებისათვის სასარგებლო საქმე.

ნონა ყაველაშვილი
ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლის მასწავლებელი

აქცია „მწვანე მომავალი“

პედაგოგის უპირველესი დანიშნულებაა მიაღწევინოს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში აღწერილ საგანმანათლებლო იდეალებს; დაეხმაროს მათ ფუნდამენტური ღირებულებების გააზრებაში, ხელი შეუწყოს სწორი დამოკიდებულებებისა და სათანადო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას; აღზარდოს პატრიოტი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, ბუნებრივი გარემოს დამცველი, კანონმორჩილი და ტოლერანტი ადამიანები.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი პრიორიტეტიც სწორედ ამ მთავარი ეროვნული ფასეულობების გააზრება და დამკვიდრებაა, რასაც შესანიშნავად ახერხებს მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის 124-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **დალილა ზუხბაია**) მასწავლებელი, ქალბატონი **იზო სამუშია**, რომლის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ამ გაზეთის ფურცლებიდანაც გაცნობეთ. ამჯერად, მისი ინიციატივით, მეხუთე კლასებში ჩატარდა აქცია „მწვანე მომავალი“.

მეხუთეკლასელებმა წელს ბევრი საინტერესო მოთხრობა და ლექსი შეისწავლეს, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მათზე ამ სამმა ნაწარმოებმა მოახდინა: ნოდარ დუმბაძის „ხაზარულა“, რეზო ინანიშვილის „ბიჭი მალხაზი“ და მუხრან მაჭავარიანის „საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“. იზო მასწავლებელმა ჯერ ტექსტები შეასწავლა ბავშვებს, შემდეგ უფრო მაღალ სააზროვნო უნარებს შეაჭიდა პატარები. დაწერეს ესეები, „გაესაუბრნენ“ პერსონაჟებს, გამოხატეს საკუთარი აზრები და დამოკიდებულება; ბოლოს ჩაატარეს აქცია.

მუხრან მაჭავარიანი შეგვაგონებს: *„მზის სხივებთან და წვიმის წვეთებთან ხეთა ტოტებისა და ბალახების ღეროთა ურთიერთშეწევნით იქსოვება სიცოცხლე ცისა და მიწის შუა. ხელის უხეში ქსოვილით ამ ქსოვილის გაფხრეწა საკუთარი სიცოცხლის შემოკლებაა, იმ ტოტის მოჭრაა, რომელზედაც თვითონ შენ ზიხარ. რაც უხვია ამა თუ იმ ქვეყნის ბუნება, მით უფრო მდიდარია იქაურთა ენა. ბუნების დაცვა გარკვეულწილად დედაენის დაცვაცაა“.*

ეკოლოგიური პრობლემების უკეთ გააზრებისთვის იზო მასწავლებელმა ბავშვებს კონკრეტული აქტივობის განხორციელება შესთავაზა. V^{3} კლასის მოსწავლეებმაც მაშინვე ხეების დარგვა გადაწყვიტეს. მათ კლასის ხელმძღვანელი **სოფიო ჩიქოვანი** ამოუდგა მხარში. რეზო ინანიშვილის „ბიჭი მალხაზი“ გაიხსენეს. ჟრიამულობდნენ.

– მასწავლებელო! მასწავლებელო! იმ მალხაზივით კი არ მოვიქეცით, მთელმა კლასმა მიიღო მონაწილეობა! – უხარიათ, ჩვენი სკოლის ეზო გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარშიც ლამაზი იქნება. იტყვიან, ბევრი კარგი ეზო გვინახავს, მაგრამ 124-ე სკოლის ეზოზე უკეთესი არსად გვეგულებაო.

ბავშვები ნერგებს ყოველდღე რწყავენ, უვლიან, ეფერებიან. გაივლის წლები, ხეები გაიხარებს, ისინი სიამაყით იტყვიან, რომ ეს მათი დარგულია. შედეგი მიღწეულია: მოსწავლეებმა გაიგეს, გაიაზრეს, იგრძნეს, გულით მოინდომეს და ნასწავლი და განცდილი საქმით გამოხატეს, რამაც ისე გაახარა იზო მასწავლებელი, რომ გადაწყვიტა, ბავშვების შემდგომი წახალისებისთვის, გაზეთის ფურცლებიდან გამოხმაურებოდა მათ.

* * *

ჩემო პატარებო! მინდა ამ გაზეთის ფურცლებიდან მოგეფეროთ, შეგაქოთ, მიხარია, რომ ხაზარულასავით დაგათროთ ქვეყნისა და ბუნების სიყვარულმა; რა მონდომებით ეჭიდებოდით პატარა ხელებით ბელტებს, ნიადაგს აფხვიერებდით, სუსტ მცენარეს დედამიწასთან შეზრდაში ეხმარებოდით. გიმზერდით და გული სიამაყით მევსებოდა – რამდენი რამ გისწავლიათ? – მეგობრობა, შრომა, საქმის ერთგულება, საკუთარ მომავალზე ფიქრი. წლების შემდეგ, როცა ბებია-ბაბუებს ჩამოიყვანთ და უჩვენებთ ტოტებგაშლილ ხეხილს, ისინიც გაიხარებენ და გულში ჩაგიკრავენ, იმედი ექნებათ, რომ ჩვენ არასოდეს გადავშენდებით, რადგან მათი შვილიშვილები ასე ზრუნავენ სიცოცხლის გახანგრძლივებაზე. მერე კი... „როცა ქორწილი გექნებათ“, „როცა შვილი გვეყოლებათ“, „როცა ლელოს გაიტანთ“ ან, უფლის კეთილი ნებით, დავიბრუნებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, სინაზის, მშვენიერებისა და სილამაზის სიმბოლოდ ყვავილებით მოჰფინეთ მიდამო; ენგურის ხიდიდან ლესელიძემდე კვლავ გააშენეთ მიმოზების ხეივანი, როგორც უწინ... როგორც იმ დროს... გორიდან სამაჩაბლომდე კი, ალბათ, დარგავთ მუხის ხეებს, როგორც სიმბოლოს ძლიერების, მარადიულობისა და უკვდავების. მჯერა, თქვენ ამას აუცილებლად გააკეთებთ, ვინაიდან გწამთ უკეთესი მომავლისა, რადგან ეს გინდათ და ძალგიძთ!

თქვენი იზო მასწავლებელი

* * *

ქალბატონო იზო, ჩვენც ვუერთდებით თქვენს აღტაცებას, გვიხარია, რომ თქვენ და თქვენი პატარები იცავთ ბუნებას, როგორც მუხრან მაჭავარიანი აღნიშნავს, მასთან ერთად დედაენას. იმედი გვაქვს, კეთილად აგიხდებათ ყველა ოცნება, რადგან შრომობთ, გიყვართ და გწამთ.

მარინე მამარდაშვილი

სპორტი

დასრულდა ევროპის ჩემპიონატი

ჭაბუკი მოჭიდავეები წარმატებით გამოვიდნენ ბულგარულ სამოკოვოში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატში – 7 მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით ბერძენ-რომაელებმა იყოჩაღეს – მათ 3 ჯილდო ირგუნეს და რაოდენობრივად ჩამორჩნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, მაგრამ აჯობეს ხარისხობრივად – მათ ანგარიშზეა 2 ოქრო და 1 ბრინჯაო. „თავისუფალთა“ მონაგარი 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაოა. ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონები გარდაბნელი **ნიკოლოზ ჭიკაიძე** (63) და ქუთაისელი **ზვიად პატარიძე** (100) გახდნენ, მესამეზე კი ხობელი **ნუგზარ წურწუმია** (42) გავიდა. „თავისუფალთაგან“ ევროპის ვიცე-ჩემპიონი ქუთაისელი **მექი სიმონია** (76) გახდა, მესამე ადგილზე კი ხაშურელი **გიორგი ხაჩიძე** (42), სამტრედიელი **ივერი ჯუღაყიძე** (63) და თბილისელი **გივი მაჭარაშვილი** (100) გავიდნენ.

ამავე ტურნირზე, წლეულს, აგვისტოში, ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც თამაშდებოდა, რომელსაც მხოლოდ ფინალისტები იღებდნენ. ოღონდ ესეც კვოტირებულია – ქვეყანაზე მხოლოდ 2-2 საგზური გაიცემოდა და ისიც ათიდან ხუთ წონაში, ხოლო ერთი ქვეყნიდან თუ 2-ზე მეტი გავიდოდა ფინალში, მაშინ ჩინეთში წამსვლელ დუეტს მწვრთნელები აარჩევდნენ. სამწუხაროდ, ამ ასპექტში ასარჩევად არ გვაქვს საქმე – ჩვენებმა მხოლოდ ერთი ლიცენზია მოიპოვეს, რადგან ბერძენ-რომაელები კვოტირებულ წონებში ვერ მოხვდნენ. ამდენად, აგვისტოში, ჩინეთში მხოლოდ სიმონია იჭიდავებს. თუ დააკვირდებით, ჩემპიონთა ტრიოდან ორი ქუთაისელია, რაც იქაური საჭიდაო სკოლის წარმატებაზე მიუთითებს. არადა, გასული წლების ძნელბედობის ჟამს რიონისპირა ქალაქში საჭიდაო ცხოვრება ჩაკვდა და სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ისევ აღორძინდა. ეს ქუთაისელთა ერთადერი წარმატება არაა – წლეულს მათ ბრინჯაოს მედალი ევროპის ჩემპიონატზე უფროსებშიც მოიპოვეს, რაც **გიორგი ცირეკიძემ** (80) გააკეთა.

სამოკოვოში გაჩემპიონებული სამეულიდან ყველაზე ტიტულოვანი პატარიძეა – შარშან ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ევროპაზე კი მესამეზე გავიდა. ის ახლაც ფავორიტად მიიჩნეოდა და სტატუსი გაამართლა კიდეც, მაგრამ მასზე ბევრად უფრო შთამბეჭდავად ჭიკაიძე გამოვიდა, რომელმაც ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო. ის გარდაბნის სახელით გამოდის, თუმცა მისი წარმატება მთლიანად სართიჭალას უკავშირდება – ჭიკაიძე იქაურია და იქვე ვარჯიშობს, მშობლიურ სოფელში. სართიჭალელებს ყოველთვის ჰყავდათ კარგი ფალავნები.

როგორც გითხარით, ჭიკაიძემ ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო – თავიდან ხორვატი **ნენად იოთანოვიჩი** 8:0 დაამარცხა, შვედი **ვირჯილ ალექსანდრე ბიცა** 20:10 დაჯაბნა, გერმანელ **ანდრეი კუროშკინს** 9:0 მოუგო, ნახევარფინალში ფინელი **ტომი ტაპიო ოჯალა** 14:3 დაჯაბნა, ფინალში კი სომეხ **არმან ბაღდასარიანს** 10:2 აჯობა. გამუდმებით უტევდა, თან მრავალფეროვანი კასკადით აგროვებდა ქულებს – იოლად ჩაჰყავდა ლეიბზე, რამდენჯერმე კიდეც დაატრიალა. ჩვენებური თავიდანვე 2:0-ით დაწინაურდა, როცა კარგად გადაიყვანა ჩოქბჯენში. თუმცა მერე სომეხმა თითოქულიანი გდებებით ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მეორე ნახევარში ჭიკაიძემ აიწყვიტა და მცირე შანსიც არ მიუცია. პატარიძეს შედარებით გაუჭირდა და მთლად ასე ერთი ამოსუნთქვით არ მოუგია. მაგალითად, ნახევარფინალში ბელარუს **არსენ სიჩოსთან** 6:6 დაასრულა შეხვედრა და საბოლოოდ დამატებითი მაჩვენებლებით მოუგო. მან ფინალში ვადამდე სძლია რუმინელ **იშტვან ლენარდ ბერელს** – 9:0. მანაც ყველაფერი გაუკეთა რუმინელს, რაც კი მოისურვა – ჩოქბჯენში ჩაყვანა, წრიდან გაგდება, ტაქტიკური ჭიდაობა, უკლებლივ ყველაფერში დაჩაგრა და 42 წამში მოიპოვა გამარჯვება. ბერელს ერთი შანსიც არ მისცემია და რაღაც თითქოს წაგებასაც შეგუებული ჩანდა. თავის მხრივ, დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ პატარიძე ბოლომდე არ იხარჯებოდა, თითქოს ძალებს ზოგავდა და მინიმალური დანახარჯებით ახერხებდა ქულების მოპოვებას. თან კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა.

თუმცა ასეთი პრაგმატული ჭიდაობა რისკიცაა, რაც მაჭარაშვილმაც დაადასტურა. პატარიძის არ იყოს, ისიც ლიდერად მიიჩნეოდა გუნდში – ამ ასაკში მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორია, მაგრამ წამიერი მოდუნება წაგებად დაუჯდა მოლდოველ **დმიტრი ცეაცუსტასთან**. არადა, მანამ ჩვენებურმა ტურნირის ფავორიტი რუსი **გიორგი ნოგაევი** გამოაგდო. ეს რომ არა, მაჭარაშვილიც მიიღებდა ნანჯინგის საგზურს, რომელიც მასზე იგეგმებოდა, ახლა კი ეს გუნდი სიმონიას ამარა დარჩა.

ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი – 6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი – 3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I–V ტომი, – 11 ლარი

❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I–VII ტომი – 11 ლარი

❖ ლევან გოთუა (7-ტომეული)
I–II ტომი – 16 ლარი

❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I–II ტომი – 15 ლარი

❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
IV–V ტომი –18 ლარი

❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი

❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I–VII ტომი –12 ლარი

❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული),
I–V ტომი – 12 ლარი

❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I–X ტომი – 12 ლარი

❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I–VI ტომი – 10 ლარი

❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5.გურამ ასათიანი
6. აკაკი წერეთელი
7. კონსტანტინე გამსახურდია
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. პოლიკარპე კაკაბაძე
11. გურამ რჩეულიშვილი
12. იაკობ ხუცესი
13. იოანე საბანისძე
14. დავით გურამიშვილი
15. ბესიკი
16. რევაზ ინანიშვილი
17. ალექსანდრე ჭავჭავაძე
18. რუსთაველი
19. თეიმურაზ I
20. ვახტანგ VI
21. გიორგი მერჩულე
22. გრიგოლ ორბელიანი
23. დავით ალმაშენებელი

ერთი ცალის ფასი – 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

წიგნის თარო მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**



თითო ტომის ფასი – 12 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ ბანქის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან **ინტელექტი სკოლას**

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

ქიმია
სატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
სატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

ბიოლოგია
სატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ფიზიკა
სატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია
სატესტატო გამოცდისთვის
ზ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
სატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

დიოგენე

გამომცემლობა „დიოგენე“

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK